წელიწადი მესამე — ფასი 7 კაპ. — პარასკევი, 21 აპრილი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირებს 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ

№ 85 — ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი — № 85

გაზეთი
„საქართველო“
ღირს:

მთელის წლით—15 მ., $^1/_2$ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).

კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

1 აპრილიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ღირება 11 მ.—25 კ.

ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.

რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპიძე.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

თბილისის წვრილო ვაჭრებო!

კვირას, 23 აპრილს,

დანიშნულია თბილისის წვრილ ვაჭართა საზოგადო კრება

ახალ კლუბის ბაღში

(თავად-აზნაურთა ქარვასლასთან)

შესავლელი სასახლის ქუჩიდან (დვორცოვი) და ფრეილინის ქუჩიდგანაც.

კრება გაიხსნება დილის 10 საათზე.

ვსთხოვთ უმორჩილესად თბილისის ყველა წვრილ ვაჭრებს, მობრძანდნენ უსათუოდ ამ საზოგადო კრებაზე დილის 10 საათზე.

განსახილველი საგნებია: 1) მოხსენება თანამედროვე მდგომარეობაზე. 2) წვრილ ვაჭართა საზოგადოების მტკიცე შეკავშირებაზე და 3) არჩევა წვრილ-ვაჭართა საზოგადოების მთავარი კომიტეტისა.

(4—610 1) **თბილისის წვრილ ვაჭართა კომიტეტი.**

ბათომის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა

აცხადებს პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ

პარტიაში ჩაწერა

და

სარეგისტრაციო კვიტანციების მიღება შეიძლება:

1) **ნოტარიუს ან. ქარცივაძის** კანტორაში (მარინეს პროსპექტი), სადაც მოთავსებულია მთავარი სარეგისტრაციო ბიურო.

2) **ვლადიმერ რუხაძესთან** (ქუთაისის ქუჩა, სარკინეულო მაღაზია).

3) **გიორგი ელიავასთან** (ქალაქის თვითმართველობაში).

ამავე პირებთან მიიღება პარტიულ ლიტერატურაზე ხელის მოწერა და შემოწირულება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

პარასკევს, 21 აპრილს, საღამოს 8 ს. გაიმართება მეორე უბნის პარტიული კრება, ფრეილინის ქუჩაზე, სათავ.-აზნ. ბანკის შენობაში. კრებაზე დასწრების უფლება აქვთ პარტიის წევრებსა და თანამგრძნობთ. წაკითხულ იქმნება მოხსენებანი შესახებ პარტიის პროგრამისა და დღევანდელ ვითარებისა.

(3—654—2)

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ოლღინის პრ. და ხამხელერი ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი

გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ქალთა თავისუფალი აუდიტორია.

კ. ი. დოდაშვილი

სისტემატიურად კვირაში ორჯელ წაიკითხავს ქართულ ენაზე

ლექციებს

ქართული ენისა, ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ.

პირველი ლექცია დანიშნულია კვირას, 23 აპრილს, დილის 12 საათზე, ლექტორის ბინაზე. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ—გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 27, ბინა 6.

(3—უ—1)

თბილისი, 21 აპრილი.

კავკასიის მაჰმადიანთა ყრილობა.

ამ ჟამად ბაქოში თავდება სრულიად კავკასიის მუსულმანთა ყრილობა. როგორც თვით ყრილობაზედაც იყო აღნიშნული, ასი წლის განმავლობაში ეს პირველი ყრილობაა კავკასიის მაჰმადიანთა და მის გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა ექნება კავკასიის მაჰმადიანთა საზოგადოების აზრის შემუშავებაში და ამ აზრის რევოლიუციის ერთ-ერთ ფაქტორად გადაქცევაში. რადგანაც ყრილობას ეროვნული ხასიათი სრულიად მოკლებული აქვს და იქ წარდგენილი მუსულმანი ეროვნებანი უმთავრესად სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ დუღაბით არიან შეერთებულნი და არა ეროვნულ-პოლიტიკურ ასოციაციით, უნდა ვიფიქროთ, რომ მუსულმანთა გაერთიანება მარტო კავკასიის მაჰმადიანობით არ დამთავრდება და იგი გულისხმობს სრულიად რუსეთის მუსულმანთა საზოგადოებრივ აზრის კავშირს, რომელიც მომავალ დამფუძნებელ კრებაზე დიდ როლს ითამაშებს. თუ რევოლიუციის ინტერესებიდან გამოვალთ, რომელიც აუცილებლად ძალთა გაერთიანებას და საზოგადოებრივ აზრის კავშირს მოითხოვს და თუ ვიწამებთ, რომ კავკასიის მუსულმანები მართლა შესძლებენ ამ ძალთა გაერთიანების მოხდენას და ერთ პოლიტიკურ ტაქტის შემუშავებას, უნდა ისიც ვსთქვათ, რომ მუსულმანების განზრახვა დიდ სამსახურს უწევს რევოლიუციას და ამ მხრივ კავკასიის მუსულმანთა ყრილობა უკვე დიდი ფაქტია, რომელიც სრულ ჩვენ თანაგრძნობას იწვევს.

თუ ყრილობის დეტალებზე გადავალთ, რასაკვირველია, იქ დადებით მუშაობასთან ერთად ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ნაკლსაც, რომელიც ჩვენ ყრილობის ორგანიულ ნაკლად უფრო მიგვაჩნია, ვიდრე ტეხნიკურ უხერხულობათ. ასეთ საკითხებს ეკუთვნის ენის საკითხი და საკითხი წარმომადგენლობისა. რაც უნდა საპატიო იყოს მიზანი მუსულმანთა გაერთიანებისა და რაც უნდა მტკიცედ აერთდებდეს მუსულმანებს ისლამი, კულტურა და პროგრესი თავისას სჩადის და ისლამი მსოფლიო სარწმუნოებიდან ბოლოს და ბოლოს ცალ-ცალკე ეროვნულ ისლამურ ეკლესიებად იქცევა. ამას მოითხოვს ეროვნულ-კულტურული ზრდა ისლამურ ერებისა და მთელი თანამედროვე პროგრესი. ამ მხრივ მ. ე. გაჯინსკის სიტყვა შესახებ საერთო მუსულმანურ ეროვნულ პოლიტიკისა უფრო მეტ დეტალებს საჭიროებს. საერთო მუსულმანური პოლიტიკა იქნება საჭირო საერთო ტაქტიკისათვის, მაგრამ ამავ დროს იგი ერთნაირად მოუვლის იმ ერებს, რომელთაც აერთიანებს ისლამი კავკასიაში. ეს არის დღის საკითხი, რომელზედაც თვით მუსულმანები უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე ჩვენ.

უკრაინა და საქართველო

ავტონომიის საკითხი რუსეთში თეორეტიული კვლევა ძიების საგანი იყო ბოლო დრომდე. დღეს ის პრაქტიკული მოქმედების საგნათ იქცა კიდეც. დროებითმა მთავრობამ აღიარა პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ფინლიანდიის ავტონომიური უფლებები აღადგინა. უკრაინელებმა ეროვნული კონგრესი მოიწვიეს და ავტონომიის პროექტი შეიმუშავეს. მოსალოდნელია რომ თვით დამფუძნებელ კრებაში თითქმის ყველა ჩაგრულ ერების წარმომადგენლები, ლატიშებიდან და ესტონელებიდან დაწყებული ყირიმელ თათრებსა და ბურიატებამდე ეროვნულ-ტერიტორიულ თვითმართველობას მოითხოვენ ამა თუ იმ კომპეტენციით. და მათ უწინარეს ყოვლისა მიეგებათ არა იდეური მომზადებისა და ისტორიული უფლებებისა, არამედ რეალურ ძალთა განწყობილების მიხედვით.

მართლაც ეროვნული საკითხი დღეს რუსეთში ძალის საკითხია და არა იდეური კამათის: ისევე როგორც სხვა დიდი პოლიტიკური და სოციალური საკითხები. ვისაც შესაფერი ძალღონე არ შესწევს დუმილი უჯობს ჯერჯერობით. რომელი სისტემა გაიმარჯვებს განახლებულს რუსეთში: ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი? დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრნა რომ ასეთი ძირითადი საკითხი უმტკივნეულოდ გადასწყდება იდეათა სფეროში. საფრანგეთის დიდ რევოლუციის დროს მწვავე ბრძოლა სწარმოებდა ცენტრალიზმის მომხრე იაკობინელებსა და ფედერალიზმის მომხრე ჟირონდისტებს შორის და ბოლოს ამ უკანასკნელებმა საკუთარი მოკვეთილი თავებით გამოისყიდეს სასტიკი დამარცხება. ფედერალიზმის იდეა დამარცხდა არა იმიტომ, რომ ის ნაკლებ სამართლიანი ან ნაკლებ კეთილისმყოფელი იყო, არამედ მიტომ რომ აჯანყებული პროვინცია სუსტი აღმოჩნდა რევოლუციურ პარიზთან შედარებით.

რეალურ ძალთა განწყობილების გაზომვა ჯერჯერობით ძნელია რუსეთში. მაგრამ წინასწარი ნიშნების მიხედვით ახლავე შეიძლება ითქვას რომ ველიკორუსების ტომი მთლიანი და განუყოფელი რუსეთის იდეის გარშემო შემოკრბება. ეს წარმოადგენს მეტის მეტად მჭიდრო მასას და დაახლოვებით სამოცდაათ მილიონს სულს უდრის. დანარჩენი ერები ალბათ თითქმის გამოუკლებლივ თვითმართველობის და ფედერაციის იდეას მიემხრობიან. ეს წარმოადგენს ნაკლებ კომპაქტურ მასას და პოლონელების გამოკლებით დაახლოვებით იმავე სამოცდაათ მილიონს უდრის. მაგრამ ამ რიცხვში შედიან უმიწაწყლო ერები და მოხეტიალე ურდოები, რომელთა ხმას დიდი მნიშვნელობა არ აქვს ტერიტორიული ავტონომიის საკითხში. საფიქრებელია, რომ შინაგან ძალთა მიხედვით ცენტრალიზმს მეტი შანსები უნდა ჰქონდეს გასამარჯვებლად ვიდრე დეცენტრალიზმს. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ არსებულ ძალთა განწყობილება ძირიანად შესცვალოს უკიდურესი დემოკრატიის გამარჯვებამ. მუშათა დემოკრატია აგრე რიგად დაინტერესებული არ არის მკაცრი ცენტრალიზმის გაბატონებაში. ავსტრია-ჰუნგრეთის მაგალითმა ნათელჰყო, რომ პოლიტიკური დეცენტრალიზაცია ოდნავაც არ ასუსტებს კლასობრივს ბრძოლას.

ესეცაა, რომ სანამ საერთაშორისო ომი სწარმოებს, სახელმწიფოებრივ ერის ძალა გათიშული და შესუსტებულია თავისთავად. ეს გარემოება დროებით საგრძნობლად სცვლის ძალთა განწყობილებას. სხვა პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ისეთი სიტყვების ხმარება, როგორიც პოლონეთის დროებითმა საბჭომ იხმარა რუსეთის დროებითი მთავრობის საპასუხოდ. კიდევ ნაკლებ შესაძლებელი იქნებოდა ისეთი რეზოლუციების მიღება, როგორიც უკრაინელთა კონგრესმა მიიღო კიევში.

მართალია ამ კონგრესმა ვერ შესძლო თავისი თავი უკრაინის ეროვნულ დამფუძნებელ კრებად აღიარებინა. როგორც პროფესორი მ. გრუშევსკის განცხადებიდან სჩანს, კიევის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შეუთვლიათ, თუ უკრაინელების კონგრესმა თავისი თავი დამფუძნებელ კრებად აღიარა, ხიშტებით დავშლითო. ამის საპასუხოთ უკრაინელ ჯარისკაცთა და აფიცერთა ამხანაგობას გადაუწყვეტია ისეთივე ხიშტებით დაიცვან თავისი უფლებები. ბოლოს ალბათ მაინც უფრო ძლიერი მხრის მუქარას გაუჭრია და უკრაინულ კონგრესს მხოლოდ წინასწარ მოსამზადებელი კრების ხასიათი მიუღია.

მაგრამ დღეს ისეთი დღეა, რომ სიტყვები ჰაერში ჩამოკიდებულნი როდი რჩებიან: დღეს სიტყვები ადვილად ხორცს იბამენ და რეალური ძალად ხდებიან. უეჭველია რომ ხვალ ან ზეგ უკრაინელები იძულებულნი იქნებიან ან თავიანთი რეზოლუციები განახორციელონ ან პასუხი აგონ თავიანთი მკვეთრი სიტყვებისთვის. ამ თვალთსაზრისით უკრაინის საკითხს ღრმა დრამატიული ელფერი ეძლევა. კიევის კონგრესი მხოლოდ შესავალია დიდი დრამისა. მისი დასასრული, როგორც ვსთქვით, ძალთა განწყობილებაზე იქნება დამოკიდებული.

რა ძალას წარმოადგენს თვით უკრაინელი ერი? დაახლოებით ხუთი მილიონი უკრაინელი ჰაბსბურგთა მონარქიაში სცხოვრობს, გალიციასა, ბუკოვინასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჰუნგრეთში; ოცდა-ათმილიონი სული უკრაინელი რუსეთშია დასახლებული. მოსახლეობა საკმაოდ აჭრელებულია: ოცდა-თხუთმეტ მილიონ უკრაინელს შორის თორმეტ მილიონამდე სული უცხო ტომების წარმომადგენლები ჩათესლილი, ებრაელები, ველიკორუსები, პოლონელები და სხვები. ესენი უეჭველად ერთგვარ გამთიშველ ძალას წარმოადგენენ ეროვნული ტერიტორია არ არის სავსებით ნათლად შემოფარგლული, მას ბუნებრივი ზღუდეები აკლია. უკრაინის ტერიტორია დასავლეთით კარპატებს იქით იწყება და აღმოსავლეთით მდინარე დონსა და ყუბანამდე აღწევს. ჩრდილო-აღმოსავლეთით უკრაინელების მოსახლეობა შეუმჩნევლად გადადის ველიკორუსების მოსახლეობაში, ჩრდილო-დასავლეთით—პოლონელებისაში. მხოლოდ სამხრეთით აკრავს ამ ქვეყანას დიდი ბუნებრივი საზღვარი, სახელდობ შავი ზღვა, მაგრამ სწორედ შავი ზღვის ნაპირია ყველაზე მეტად სადაო და აჭრელებული.

მაგრამ სამაგიეროდ დიდი უპირატესობანიც აქვს უკრაინის მიწაწყალს. ის წარმოადგენს უნოყიერეს ნიადაგს და უმდიდრეს პურის ბეღელს ევროპაში. რუსეთის უპირველესი სამთამადნო რაიონი, დონეცის მხარე, უკრაინის საზღვრებშია მოქცეული. მდინარე დნეპრი უდიდეს საალებმიცემო გზას წარმოადგენს ბალტიის და შავ ზღვის შორის. თვით შავი ზღვა კი უკრაინს ცენტრალური და სამხრეთი ევროპის ბაზრებს უკავშირებს. ცხადია რომ ეკონომიური და ფინანსიური თვალთსასრისით უკრაინის ტერიტორიულ ავტონომიას მტკიცე საფუძველი აქვს. 1903 წლის ბიუჯეტის მიხედვით უკრაინის მხარემ რუსეთის სახელმწიფოს დაახლოებით 520 მილიონი მანეთის შემოსავალი მისცა, სახელმწიფომ კი უკრაინისათვის მხოლოდ 280 მილიონი მანეთი დახარჯა.

დღეს, როცა მიცვალებულნი მკვდრეთით სდგებიან, ისტორიულ ტრადიციებსაც კი ერთგვარი რეალური ძალა აქვს. უკრაინელები იხსენებენ რომ მათ თავისი საკუთარი გზით უვლიათ ერთ დროს. კიევის პერიოდში ეს ტომი მეთაურობდა აღმოსავლეთი სლოვენობის კულტურას. მონგოლურ პერიოდში უკრაინელებმა უფრო ფაქიზად შეინარჩუნეს თავისი რასიული სისხლი, ვიდრე ველიკორუსებმა. ამასთან ერთად შეინარჩუნეს ხალხოსნური სული, თემური თავისუფლება და ამომრჩევლობითი პრინციპი, რაიცა ჩქარა შეეჯახა მოსკოვის ბიუროკრატიულ სისტემას.

უკრაინისა და საქართველოს ისტორიულს წარსულში ბევრი მსგავსებაა. უკრაინაც რუსეთს ნებაყოფლობით შეუერთდა ისევე როგორც ჩვენი სამშობლო. უკრაინაც რუსეთში მფარველს ეძებდა, გარეშე მტრების წინააღმდეგ. ხელშეკრულების ძალით, რომელიც 1654 წელს დამტკიცდა მოსკოვში, უკრაინას პოლიტიკური ავტონომია უნდა ჰქონოდა და თავისი არჩეული ჰეტმანი და თავისი ეროვნული ჯარი ჰყოლოდა. რუსეთმა მეორე დღესვე დაიწყო ამ ხელშეკრულების დარღვევა. უკრაინელმა ერმა რამდენჯერმე აჯანყება მოახდინა. აჯანყება ადვილად ჩაქრობილ იქნა შინაური ორგულობის გამო. არისტოკრატია დეზერტირობისა და გარუსების გზას დაადგა. ბოლოს პეტრე დიდმა ჰეტმანობა მოსპო და 1722 წელს რუსი აფიცრებისაგან შემდგარი საგანგებო მალოროსიული კოლეგია დაარსა. ამას მოჰყვა გამოჩენილი უკრაინელი მეთაურების და მამასახლისების პეტროგრადში გაწვევა და დატუსაღება.

როგორც ქართველებს ისე უკრაინელებს მძიმე ტვირთად აწვა მეფის მთავრობის უღელი. ბიუროკრატია უარჰყოფდა არა თუ უკრაინელი ერის უფლებებს, თვით მისი არსებობის ფაქტსაც კი. მესამოცე წლებში მინისტრმა ვალუევმა განაცხადა, რომ „უკრაინული ენა არასოდეს არ ყოფილა, არ არის და არც იქნებაო“. მესამოცდაათე წლებში მეფის საგანგებო უკაზმა საბოლოოდ აკრძალა უკრაინული ენის ხმარება სკოლებსა და დაწესებულებებში. ამ სასტიკს ზომებს მოჰყვა ხალხის გაველურება, მისი ჩამორჩენა სწავლა განათლებას და სულიერი კულტურის ნიადაგზე.

აქ კიდევ არ სწყდება ანალოგიათა ძაფი ჩვენსა და უკრაინელებს შორის. მართალია დღეს მათ უკეთესი დრო დაუდგათ. მათ შეუძლიათ სახელმწიფოებრივი ერის წარმომადგენლებს ისე ელაპარაკონ, როგორც თანასწორი თანასწორს ელაპარაკება. მაგრამ დიდი უკრაინის და პაწია საქართველოს მომავალი ბედი მაინც მჭიდროდ გადაჭდობილია ერთმანეთში. უკრაინისა და საქართველოს შეერთების შემდეგ რუსეთის წინაშე კონსტანტინოპოლისა და სრუტეების საკითხი აღიმართა. რუსეთმა იგრძნო რომ მისი ისტორიული გზა ახლობელი აღმოსავლეთისკენ მიდის. მაგრამ ამ გზაზე უკრაინელი და ქართველი ერი სცხოვრობს. რუსეთის მებრძოლი იმპერიალიზმი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს თავის მიზანს თუ ის ამ ორი ერის ცხედარს გადასთელავს. რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია ადვილად შეურიგდება პოლონეთის დამოუკიდებლობას, ფინლიანდიის, ლატვიის და სომხეთის ავტონომიას, მაგრამ ის უბრძოლველად ვერ დაუთმობს ვერც უკრაინელებს, ვერც ქართველებს- იმიტომ, რომ ეს ეგრედ წოდებული ისტორიული მისიის დათმობა იქნებოდა. უბრალო შემთხვევა არ არის ის გარემოება, რომ პეტრე დიდმა მოსპო ნებაყოფლობით შემოერთებული უკრაინისა, ხოლო ალექსანდრე პირველმა ნებაყოფლობით შემოერთებული საქართველოს ავტონომია. იმავე ალექსანდრე პირველმა 1806 წელს ავტონომია მიანიჭა დაპყრობილ ფინლიანდიას, ხოლო 1815 წელს კონგრესის პოლონეთს.

მაგრამ მოსალოდნელია რომ დემოკრატიის გამარჯვება შესცვლის რუსეთის იმპერიალისტურ სულისკვეთებას და სხვა მიმართულებას მისცემს საგარეო პოლიტიკას. ამის ნიშნები კიდევ სჩანს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გავლენის ქვეშ კადეტურმა დროებითმა მთავრობამ დღესდღეობით თითქო უარჰყო დაპყრობითი ომი. მაგრამ მილიუკოვებს და როდიჩევებს გულის იდუმალ სიღრმეში ძველებურად უღვივის აიასოფიის სიყვარული. და უკრაინის ან საქართველოს მომავალი ბედი სხვათა შორის იმაზეც არის დამოკიდებული რამდენად შეთანხმებული აღმოჩნდება რუსეთის გულისცემა ლიბერალებისა და იმპერიალისტების აღგზნებულ გულისცემასთან.

გერონტი ქიქოძე.

რევოლიუცია

დეპეშები

ანტისემიტური მიტინგი.

ხარკოვი. 18 აპრილი. კვირას საკრებულო ტაძარში, როდესაც წირვას ასრულებდა დროებით მთავრობის მიერ გადაყენებული არქიეპისკოპოსი ანტონი, მას შემთხვევით შეურაცყოფა მიაყენა კომერციულ ინსტიტუტის სტუდენტმა, რომელმაც ხმა მაღლა შემდეგი სთქვა:—რათ სწირავს, ეგ ხომ გადაყენებული არის და ნაბრძანები აქვს სამ დღეში ხარკოვი დასტოვოსო". ამ სიტყვებმა ხალხში დიდი აღელვება გამოიწვია, ერთია ნაწილი მას მივარდა და ჩაქოლვას უპირებდა... მილიციამ დიდი გაჭირვებით გამოსტაცა აღელვებულ ხალხს სტუდენტი, რომელიც აღმოჩნდა ებრაელი სტუდენტი. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ ქალაქში და მრავალ ალაგას ანტისემიტური მიტინგები გამოიწვია...

პირველი მაისის დღესასწაული.

პეტროგრადი. პეტროგრადის სააგენტოს მრავალი დეპეშები მოდის სხვა და სხვა კუთხეებიდან, რომ პირველ მაისის მიტინგებში მრავალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. განუწყვეტლივ გუგუნებდა სამხედრო მუსიკა. წითელ დროშებზე ეწერა! — „**დავიცვათ თავისუფლება**" ომის შეწყვეტას მოითხოვდენ ორატორები, მაგრამ სეპარატიულ ზავზე ლაპარაკი არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ სატახტო ქალაქში მიტინგმა მეტის მეტათ მკრთალათ ჩაიარა, არ იყო ხალხის აღტყინება, თითქოს ყველას დაღალვა ეჩნეოდა. ლენინის წინააღმდეგ მრავალი სიტყვა იქმნა წარმოთქმული და ლენინის მომხრეებს თითქმის არსად არ გაუმარჯვიათ. პეტროგრადში 300 ტრიბუნა იდგა. უმთავრესათ ხალხი იკრიბებოდა მარსოვის და თავისუფლების მოედნებზე. მრავალი ხალხი შიაწყდა აგრეთვე სასახლის მოედანს, სადაც სხვათა შორის სიტყვა სთქვა ლენინმა. აღსანიშნავია, რომ სხვა და სხვა რუსეთის ეროვნებათა წარმომადგენლებმა მიტინგზე თავიანთი დროშებიააფრიალეს. ცალკე დროშა მოქონდათ აგრეთვე სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეთ, რომელზედაც ეწერა:—„გაუმარჯოს უფასო სწავლას". ლტოლვილ ბავშვების დროშაზე ეწერა:—მოგვეცით საშუალება მალე სახლში დაბრუნებისა". ჩხეიძე, პლეხანოვი, ლენინი, სკობელევი და სხვები ავტომობილებით ერთი ადგილებიდან მეორე ადგილებზე გადადიოდნენ და სიტყვებს ამბობდნენ.

ყველაზე მრავალ-რიცხოვანი მიტინგი გაიმართა პოროხოვის ჩხარეზე, სადაც 40000 ხალხი დაესწრო.

კრების მოწვევის თავისუფლება.

პეტროგრადი. დროებით მთავრობამ დაადგინა, რომ მიეცეს ყველას განუსაზღვრელი უფლება კრების მოწვევისა.

კრებები რკინის გზის ლიანდაგებზედ აკრძალულია, სხვა გზებზედ, ქუჩებში და მოედნებზედ ნება დართულია, რადგანაც ხელს არ შეუშლის მიმოსვლას. 3. კრებაზედ ნება აქვთ დაესწრონ ის პირნი ვინც შეიარაღებულნი არ არიან და ვისაც კანონით იარაღის ტარების უფლება აქვს. 4. ყოველ მოქალაქეს, ნება აქვს საზოგადოებების და კავშირების თავისუფალ დაარსებისა, თუ სისხლის სამართლის კანონებს არ ეწინააღმდეგება: საზოგადოებებს და კავშირებს აქვთ უფლება შეერთებისა სხვა საზოგადოებებთან და კავშირებთან და მათთან მუდმივი კავშირისა. აგრეთვე საზღვარგარეთულ კავშირებთან და საზოგადოებებთან ქონების შეძენის უფლება კაპიტალის შექმნის ვალდებულობის მიღებისა საჩივარსა და პასუხისას მხოლოდ იმ საზოგადოებებს და კავშირებს რომელთაც რეგისტრაცია სასამართლოს წესით მოხდარია. წესი რეგისტრაციის, საზოგადოების და კავშირები უნდა იყვეს განსაზღვრული დადგენილებით. 7. დახურვა საზოგადოებისა ან კავშირისა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით, და ამასთანავე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ მათი მიზანი აკრძალულია სისხლის სამართლის კანონებით.

სასწავლებლების გაერთიანება.

პეტროგრადი. სწავლა-განათლების სამინისტრომ შეიტანა პროექტი ახალ მთავრობის მიერ განსახილველათ, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან ქალვაჟთა სწავლა საშუალო სასწავლებლებში ერთათ სწარმოებდეს.

ფინეთის პოლიტიკური პროცესი.

ჰელსინგფორსი. აქ მოვიდა საგანგებო კომისია პეტროგრადიდან, რომელსაც ევალება გამოიძიოს პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმე, რომელთაც სახელმწიფო ღალატში ედებათ ბრალი. გამოირკვა, რომ ომის დასაწყისში ფინეთში რუსებისადმი სიძულვილი დიდი იყო მრავალი ახალგაზრდა ფინელი გერმანეთში გარბოდა და იქაურ ჯარში ეწერებოდა რუსებთან საბრძოლველად. მრავალი კი კვლავ ფინეთში ბრუნდებოდა და თან მოქონდა ათასნაირი ასაფეთქებელი მასალები, რომლის საშუალებით ააფეთქეს რუსების მრავალი გემი და ქარხნები.

რამოდენიმე მათგანის დაჭერა მოეხერხებინა ძველ მთავრობას—მათი რიცხვი საერთოთ 20-დე აღწევს. კომისიამ საჭიროდ ცნო ოთხი დამნაშავე ახლავე განთავისუფლებიათ. ფინელები კი ამნისტიის ძალით დანარჩენთა განთავისუფლებას მოითხოვენ.

ახალ ბუხარის კომისარი.

ახალ ბუხარა. ჩამოვიდა დროებით მთავრობის კომისარი პრეობრაჟენსკი, რომელიც ხალხმა აღტაცებით მიიღო.

პურის გალეწვა.

მოგილევი. ზოგიერთმა სასოფლო კომიტეტმა გადასწყვიტა აიძულოს მემამულენი გალეწონ პური და ტყის მოჭრა შესწყვიტონ.

ვაჭრების დატუსაღება.

ოდესა. ჯარის კაცთა კომიტეტის დადგენილებით კომისარმა სპეკულიაციის გამო რამდენიმე ვაჭარი დაატუსაღა და მათი საქმენი ბრალმდებელს გადასცა.

მეზღვაურთა გაფიცვა.

ჰელსინგფორსი. სავაჭრო ფლოტის მეზღვაურებმა წინადადება მისცეს გემის პატრონებს მოემატებიათ ჯამაგირი და ნავთ სადგურში ყოფნის დროს 8 საათის სამუშაო დღეს შემოეღონ. გემის პატრონთა კავშირმა განუცხადა, რომ გემები რუსეთის სამხედრო მთავრობას ეკუთვნის.

ეროვნული საკითხი

(გაზეთებიდან)

მოლდავიის ავტონომია.

მოლდავიამაც მოითხოვა ბესარაბიის ავტონომია. „მოლდავიის ორგანიზაციამ" შეიმუშავა ამ ავტონომიის ძირითადი დებულებანი.

„ვემხრობით რა რუსეთის ყველა ეროვნებათა მოწინავე ნაწილებს ავტონომიის მოპოვების საკითხში, ვითხოვთ ბესარაბიის გუბერნიის მოლდაველთათვის სრულს ავტონომიას, ეროვნულ უმცირესობისათვის უფლებათა დაცვით. უარს ვყობთ რა უსაფუძვლო ბრალდებას სეპერატიზმზე, მოლდაველთა ეროვნული ჯგუფი მოითხოვს უკანონოდ გაუქმებულ 1818 წ. ავტონომიის აღდგენას. ამ ავტონომიაში თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით შეტანილი უნდა იყოს დემოკრატიული საფუძვლები. მოლდაველთა ორგანიზაცია უარს ჰყოფს ძველი მთავრობის საკოლონიზაციო პოლიტიკას და მოითხოვს, რომ მოლდაველის მიწები, მიწის მუშებსავე დაუბრუნდესთ. საეკლესიო კითხვებში კი მოლდაველთის ეკლესიის სრულს ავტოკეფალიას მოვითხოვთ.

მოლდაველთა საეროვნო ორგანიზაციამ ლვოვს დეპეშა გაუგზავნა, სადაც იმედი გამოთქვა, რომ ბესარაბიაში მცხოვრებ ორ ნახევარ მილიონ მოლდაველთა ინტერესები დამფუძნებელ კრების მიერ დაცული იქნება.

კომიტეტი ამ საერთო განცხადებით არ დაკმაყოფილდება და ამ მოკლე ხანში მთავრობას წარუდგენს კერძო საპროგრამო მოთხოვნილებებს.

ომი და ზავი

დეპეშები

მთავარ ბანაკის ცნობა.

19 აპრილი

პეტროგრადი. მეჩიშუს სამხრეთ-აღმოსავლეთით, როგატინის მიმართულებით მტერმა ძლიერი საარტილერიო ბრძოლა გააჩაღა და უმთავრესად მძიმე არტილერია აამუშავა. დანარჩენ ფრონტზე სროლა და მზვერავთა მოქმედება სწარმოებს.

კავკასიის ფრონტი. გიუმიშხანის სამხრეთ-დასავლეთით ოსმალებმა რამდენიმე იერიში მოიტანეს, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. უკუგდებულ იქმნენ აგრეთვე ოგნოტის ჩრდილო-დასავლეთით.

შავი ზღვა. ბოსფორის რაიონში ჩვენმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა იალქნიანი ხომალდი, რომელსაც ათასი ტონის წყალ-წყვა ჰქონდა; ჩასძირა აგრეთვე ერთი საბუქსირო გემიც. ჩაძირულ გემთა კომანდამ ნაპირზე გააღწია. როდესაც წყალქვეშა გემებს ესროლა, სანაპირო ბატარეებიდან მას სამ დიუმიანი ზარბაზნები დაუშინეს. წყალ ქვეშამ სროლით უპასუხა და მალეც ჩაიხუმა.

მფრინავთა მოქმედება. მტრის ჰაეროპლანთა ესკადრა, თავს დაესხა ქალაქ ტეკუჩს და ოცი ყუმბარა დააყარა.

პარიზი. 18 აპრილი. დღის ოფიციალი ცნობა. უაზის სამხრეთით გერმანელებმა სცადეს იერიში მოეტანათ ფრონტის ჯარის კაცთა მცირეოდენ ჯგუფზე. ეს ცდა უნაყოფოდ ჩაუტარეთ.

შმენ დე-დამის მაღლობზე ცხარე საარტილერიო ბრძოლა მოხდა. გუშინ ტყვეთ წამოყვანილ გერმანელთა რიცხვი ოთხასს აღემატება.

გერმანეთის დელეგატების დატუსაღება

პეტროგრადი. გენერალ ბრუსილოვმა შემდეგი ბრძანება გასცა. ერთ-ერთ არმიაში დაიჭირეს გერმანეთის დელეგატები, რომელნიც ვითომც სამშვიდობო მიზნით იყვენ გამოწვეულნი. რამდენად მართალია ეს იქიდანა სჩანს, რომ ამ დელეგატებმა გამოკითხვის შემდეგა სთქვეს:—ჩვენს დავალებას შეადგენდა—პირველად დეტალურად გავცნობოდით თქვენს სიმაგრეების მოწყობილობას; გაგვეგო, თუ რა ადგილებიდან მოქმედებენ თქვენი ტყვიის-მფრქვეველები; გაგვეგო, თუ რანაირი დამოკიდებულებაა სალდათსა და ოფიცრებს შორის. ერთი დელეგატის სიტყვით ავსტრიელებმა მოასწრეს მრავალი ჩვენ სიმაგრეთა გეგმის ხელში ჩაგდება.

პირველი მაისობა

პეტროგრადი. კრონშტატიდან, ნ. ნოვგოროდიდან, მინსკიდან, ვიატკიდან, კარაჩევიდან, სიმფეროპოლიდან, თეოდოსიიდან, ჟიტომირიდან, პოლტავიდან, ვორონეჟიდან, ცარიცინიდან, ვიაზნიკოვიდან, ბლაგოვეშჩენსკიდან, ბიისკიდან, ატკარსკიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან მრავალი დეპეშა მოდის, რომ პირველ მაისის გამო დიდი მიტინგები გაიმართა.

გენერალ რუზსკის გაფრთხილება

პეტროგრადი. ჩვენი მტერი ახალ შემოტევისთვის ემზადება. ამავე დროს მათი აგენტები გაორკეცებული ენერგიით ეფინებიან ჩვენ კუთხეს და ჩვენ ცნობებს ჩვენი მტრის მთავრობებს აცნობებენ. მათთან ბრძოლა უსაჭიროესია. პეტროგრადის რაიონი ავსებულია შპიონებით. ამიტომ იყავით ფხიზლათ და თქვენი გულ-ახდილობით ნუ ჩაუვდებით ცნობებს გერმანელებს. დაკვირვებით ილაპარაკეთ. გახსოვდეთ, რომ თქვენს ყოველივე სიტყვას გერმანელები გამოიყენებენ მათდა სასარგებლოთ. იყავით ფხიზლათ და დაეხმარეთ მთავრობას მათთან ბრძოლაში.

საფრანგეთის ფრონტი

პარიჟი. ოფიციალური. არტილერიის გაცხოველებული მოქმედება შმენ დე-დამის რაიონში და იურტებიზისა და კრანკის მახლობლათ. შამპანში ძლიერი საარტილერიო ბრძოლა მარტონვილიერის სამხრეთით, სადაც მოწინააღმდეგე ორჯერ შეეცადა ჩვენზე იერიშის მოტანას მონგოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაგრამ ორივე იერიში უკუგდებულ იქმნა დიდის ზარალით. 17 აპრილს ჩვენ წამოვიყვანეთ 520 ტყვე და 5 ზარბაზანი. სხვაგან დრო გამოშვებით საარტილერიო ბრძოლაა.

11—17 აპრილამდე პრაპორჩიკმა დელორმა ჩამოაგდო მე-21 მტრის ჰაეროპლანი, პრაპორჩიკმა მადონმა მე-9 ჰაეროპლანი ჩამოაგდო და ლუნდერიმ კიდევ 9 ჰაეროპლანი.

ბალკანეთის ფრონტი.

16 აპრილს ბულგარელებმა ახალი იერიში მიიტანეს ინგლისელებზე დოირანის მახლობლათ, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნენ დიდის ზარალით. 1050 სიმაღლის მახლობლათ მტერმა იერიშები მოიტანა ხელით სასროლ ყუმბარებით, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. მთელს ფრონტზე მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა.

მთავრობის აზრი ზავზედ.

პეტროგრადი. რუსეთის წარმომადგენლებმა მოკავშირეთა სახელმწიფოებში გარეშე საქმეთა მინისტრის დავალებით გადასცეს მოკავშირეთა სახელმწიფოების მთავრობებს რუსეთის დროებით მთავრობის გამომუშავებული ნოტა. ნოტაში აღნიშნულია, რომ დრობით მთავრობა უარსყოფს იმ მოსაზრებას, რომელიც გავრცელდა ბოროტ პირთა განზრახვით, რომ ჩამოეგდოთ მტრული განწყობილება მოკავშირეთა შორის, იმ ხმებით თითქოს რუსეთს სურდეს სეპარატიული ზავი ცენტრალურ სახელმწიფოებთან. დროებით მთავრობის სამოქმედო მოსაზრება ომის საკითხის შესახებ სრულიათ ეთანხმება მოკავშირეთა სახელმწიფოების გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა აზრს. ძველ რუსეთის მთავრობას არ შეეძლო ასეთი აზრი გამოეყენებინა საერთო ხალხის თავისუფლების დამყარებაზე და სახელმწიფოთა ხანგრძლივი მეგობრული კავშირის შექმნაზე. ახალ დროებით მთავრობას კი მიზნად აქვს განამტკიცოს ესენი და აღადგინოს დაპყრობილ [illegible] დემოკრატიათა უფლებები. ამ მიზნისთვის რუსეთი უფრო თავგამოდებით იბრძოლებს მოკავშირეებთან ერთად და ეცდება განახორციელოს ყველა ის დებულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სახელმწიფოთა მუდმივ კავშირს და ხალხის კეთილდღეობას.

სარტების თხოვნა.

პეტროგრადი. 19 აპრილს. ნიკოლაევსკის რკინის გზის გამანაწილებელ მომუშავე სარტებმა თხოვნით მიმართეს სალდათთა და მუშათა საბჭოს, რითაც მოითხოვეს სამუშაოდან განთავისუფლებას. ამასთანავე განაცხადეს, რომ მათ შორის ბევრი დაავადმყოფებულია და სამუშაოსთვის სრულიად გამოუსადეგარი: ესენი უნდა გაიგზავნონ თურქესტანში, საიდგანაც ისინი ძველმა მთავრობამ გაიწვია. საბჭოს დეპუტატებმა მიმართეს გზათა მინისტრს, რომელმაც უპასუხა, რომ ზომები მიღებული იქნება. 17 აპრილს შესდგა განსაკუთრებული კომისია შესამოწმებლად ავადმყოფ სარტებისა, რომელნიც გაიგზავნებიან თურქესტანში. დანარჩენი საკითხები გადასწყდება ახლო მომავალში.

პურის შეწირვა.

სალდათთა და მუშათა საბჭოს სასურსათო კომისიაში შეტანილი იქნა განცხადება სოფელ პორტოვოისტოგოს გლეხებიდან უდანოვის საზოგადოებიდან პოდოლის გუბერნიიდან, რომელშიაც ატყობინებენ, რომ ზემოხსენებულ გლეხებმა შესწირეს ჯარის საჭიროებისთვის 300 ფუთი პური. გლეხები სთხოვენ, რომ ეს ფაქტი გამოცხადდეს, რათა სხვებმაც მიბაძონ მათ მაგალითს.

ახალი ამბავი

◆ **ეროვნული საკითხი ჯარისკაცთა ყრილობაზედ.** 23 აპრილს თბილისში გაიხსნება კავკასიის ფრონტის ჯარის წარმომადგენელთა ყრილობა. ამ ყრილობის შესახებ მსჯელობა იქონია მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა და გადასწყვიტა უახლოესი მონაწილეობა მიიღოს ხსენებულ ყრილობის მუშაობაში. ამიერ-კავკასიის კომისარმა ჩხენკელმა აღნიშნა, რომ, საჭიროა ყურადღება მიექცეს ერთ სამწუხარო მოვლენას, სახელდობრ იმას, რომ ჯარში ხმას ავრცელებენ, თითქოს ზოგიერთი კავკასიის ეროვნებანი ლოიალურად არ ეპყრობიან რუსეთს და ჩამოშორებაზედ ფიქრობენ. ყრილობაზედ ეს ხმები უნდა განიფანტოს და მიღებულ იქმნას რეზოლიუცია, რომ ჯარისკაცთ კავკასიის ეროვნებათა ლოიალობაში ეჭვი არ შეაქვთ.

◆ **„ხალხის თავისუფლება".** გამოვიდა ქართველ სოც.-დემოკრატ-ავტონომისტების გაზეთი „ხალხის თავისუფლება" მეხუთე ნომერი. გაზეთში მოთავსებულია. შემდეგი წერილები: „ავტონომიური საქართველო" მეთაუ-

საქართველოს შინაური მდგომარეობა რუსეთთან შეერთების დროს *)

(მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

საუკუნოებით გარეშე მტრებთან დღე და ღამ ბრძოლამ და ბოლოს დროს შინაურმა არეულობამ და განხეთქილებამ საქართველო ისე დააუძლურა და დაასუსტა, რომ რუსეთთან შეერთების დღეს საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი 160,000 სულს აღარ აღემატებოდა. ამ მცხოვრებთა ორ მესამედს შეადგენდა ქართველები დანარჩენს თათრები, ოსები და სომხები. ნამდვილ საქართველოს გულს შეადგენდა ქართლი და კახეთი, ამის გარდა მას ეკუთნოდა ზოგიერთი თათრისა და ოსეთის სამფლობელოებიც.

თავისი პოლიტიკური წესწყობილებით მაშინდელი საქართველო ბევრად წააგავდა დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნოების ფეოდალურ სახელმწიფოებს იმდენად რთული იყო საქართველოს მართვის წესრიგი, რომ რუსეთთან შეერთების დროს, რუსის გენერალმა ლაზარევმა ბევრი იმტვრია თავი, მაგრამ ვერ მოახერხა და ვერ გაიგო თუ როგორ წარმოებდა სამეფოს მართვა გამგეობა, რა შემოსავალი ჰქონდა. რა უფლებები ჰქონდათ სხვა და სხვა წოდებათა პირთ და როგორი წესით ფლობდენ მამულებსა და სხვა...

სამეფოს სათავეში უდგა მეფე გიორგი XII—სრულის უფლების მქონებელი, მაგრამ როგორც ვიცით, ზოგჯერ კი სრულად უუფლებო ისე რომ, მარტო მეფის სახელი-და რჩებოდა და უფლება კი სხვა და სხვა პარტიათა ხელში გადადიოდა.

გარდა იმ ურიცხვ ბატონიშვილებისა და მეფის ქალებისა, რომლებიც დარჩათ ირაკლი მე II და გიორგი მე XII, საქართველოს უმაღლეს წოდებას შეადგენდნენ თავადები და აზნაურები. თითეულ თავადს ჰქონდა რამდენიმე სოფელი, ჰყვდათ თავიანთი ჯარი, საჭირო იარაღი და 2-3-ციხე, სადაც თავს აფარებდნენ მტრისაგან თავდაცემის დროს. ომიანობის დროს, თვითეული თავადი ვალდებული იყო შეეკრიბა და გამოეყვანა თავისი სოფლებიდან ჯარი და მეფეს მიშველებოდა. უმაღლეს სამეფო თანამდებობაზედ ინიშნებოდენ განსაკუთრებით მარტო თავადები.

თავიანთი ჩამომავლობით თავადები სამ დარგად იყოფოდენ. უმაღლეს კლას ეკუთვნოდნენ თავადები ექვსი საუკეთესო გვარისა: ერისთავი არაგვისა, ერისთავი ქსნისა, სარდალი ამილახვარი, სარდალი ორბელიანი, სარდალი ციციშვილი და სომხეთის მელიქი. დანარჩენნი მოგვარეები ანუ წევრები ამ ექვსი თავადებისა ეკუთნოდენ მეორე ხარისხის თავადებს. მესამე ხარისხის თავადებს შეადგენდნენ დანარჩენნი სხვა და სხვა გვარეულების თავადები. როგორც მეფე ირაკლის შედგენილ სიიდანა სჩანს, თავადების გვარისანი ქართლში იყო ოცდა ოთხი და კახეთში კი ოცდა თვრამეტი. ზოგიერთ ამ თავადებს იმითი მოჰქონდათ თავი, რომ თავიანთ მორჩილებაში ჰყვდათ დიდ ძალი აზნაურები. ყველაზე მეტი აზნაურები ჰყვდათ ციციშვილებს—34, ჯამბაკურ ორბელიანებს 28, აბაშიძეებს 19, ერისთავებს 18 და ამილახვრებს 12.

აზნაურებიც აგრეთვე განირჩეოდნენ ერთი მეორისაგან; ზოგნი ძველთა ძველი ჩამომავლობისანი იყვნენ და ზოგს კი ახლადა ჰქონდათ მიღებული ეს წოდება. მაშინდელ დროში საკმარისი იყო ჰქონოდა თავისი სოფელი კოშკითა და კარგი ცხენ-იარაღი, რომ აზნაურობის წოდება მიეღო.

უმაღლეს ხარისხის აზნაურებათ ითვლებოდნენ მეფის აზნაურები, შემდეგ საეკლესიო და ბოლოს კი თავადებისა.

პირველნი ემორჩილებოდნენ მეფეს, მსახურობდნენ ჯარში ასისთავებად (იუზბაში) და ათასის თავებად (მინბაში). სამოქალაქო სამსახურში კი მოურავებად მსახურობდნენ. საეკლესიო და სათავად აზნაურები ჯარში არ მსახურებდნენ, მხოლოდ ემორჩილებოდნენ თავიანთ თავადებს ან სასულიერო პირთა უფროსებს.

თავდაპირველად საეკლესო და სათავადო აზნაურები გლეხები იყვნენ, მათ აზნაურობა ჰქონდათ მიღებული განსაკუთრებულ ერთგულ სამსახურისათვის. სათავადო აზნაურები თავადების ამალაში ითვლებოდნენ.

საეკლესიო აზნაურებს ვალად ედოთ ეკლესიებისა და საეკლესიო მამულების დაცვა და პატრონობა მტერთა შემოსევის დროს. მეფე ირაკლის იმავე სიაში მეფის აზნაურთა გვარისა აღნუსხულია 118 გვარი, ქათალიკოსთა 13, და თავადებისა 186.[1]

აზნაურზე უფრო დაბლა და გლეხებზე მაღლა ითვლებოდნენ მეფეთა „მსახურნი". ისინი მსახურებდნენ მეფეებთან, თავადებთან, აზნაურებთან ან სამღვდელო პირებთან, როგორც მცველები ანუ მოურავები. ესენი თავისუფალნი იყვნენ ყოველივე გვარი გადასახადისაგან, მხოლოდ სასახლეში მოსამსახურეებს აძლევდენ.

ამ მსახურთა შემდეგ იყო უბრალო გლეხთა წოდება, რომლებიც თავის თავად სამ ხარისხად იყოფოდენ: თავისუფალი გლეხები, საბატონო გლეხები (ყმები) და მონები. თავისუფალ გლეხებს შეადგენდენ ისინი, ვინც მოსულნი იყვნენ, საქართველოში და მიწა-წყალი არ გააჩნდათ და დღიურ მუშაობით ირჩენდნენ თავს. თუ ისინი მემამულეთა ადგილზე დასახლდებოდენ—მაშინ დროებით ვალდებულ გლეხებად ხდებოდნენ და მემამულეს განსაკუთრებული პირობებით ეკვროდნენ.

საბატონო გლეხები ანუ ყმები დასახლებული იყვნენ მემამულეთა მიწებზე და მემამულეს სასარგებლოდ იხდიდნენ ბევრს სხვა და სხვა ნაირ ღალას, მაგალითად პურის მოსავლის ერთ მეექვსედს და ღვინის მოსავლის ერთ-მეოთხედსა. მებატონეს ნება ჰქონდა გაეყიდა თავისი გლეხები, აგრეთვე ნება ჰქონდა მათი დასჯისა სხვა და სხვა სასჯელით. მესამე ხარისხის გლეხებს ეკუთვნოდნენ „მონები". მონები ნაყიდი იყვნენ და მათი მდგომარეობა უფრო უფერული იყო სხვა გლეხებთან შედარებით.

სამღვდელო პირნი ასე იყოფოდენ: პირველ ხარისხოვან თავადს ედრებოდა მიტროპოლიტი, რომლის სისხლი შეფასებული იყო 15,360 მანეთ ვერცხლად; მეორე ხარისხის თავადს ედრებოდა ეპისკოპოსი, მისი სისხლი ღირდა 7,680 მანეთად, მესამე ხარისხის თავადს უდრიდა არქიმანდრიტი, რომლის სისხლი ღირდა 3,840 მანეთად. მეორე ხარისხის აზნაურს უდრიდა ბერმონაზონი ანუ მღვდელი, რომლის სისხლი ღირდა 480 მან. ამ უკანასკნელს უდრიდა მდიდარი მოქალაქე ვაჭარიც.

გარდა ამისა ყველა წოდებაში მიღებული იყო: ყველა დაბალი ხარისხის პირს უნდა დაეთმო გზა და ყოველ გვარი პატივი ეცა უფროს ხარისხოვან პირისთვის.[2]

მთელ საქართველოში, გარდა ოსეთისა, ფშავეთისა, ხევსურეთისა და დუშეთისა ორი ათასამდე დასახლებული სოფელი ითვლებოდა, მაგრამ ბოლოს გარეშე მტერთა ბრძოლამ $^{3}/_{4}$ ამ სოფლებისა აოხრა და გაანადგურა ასე, რომ რუსეთთან შეერთების დროს, საქართველოში მარტო 450 დასახლებული სოფელი და დარჩა. მათში 100—სოფელი მეფეს ეკუთნოდა, 90—ეკლესიებსა და მონასტრებს, 190—მემამულეებს და 70 კი მეფის ქალებსა და ბატონიშვილებს.

უმაღლეს სამართველოს დაწესებულებად ითვლებოდა საბჭო, რომელიც 4-8 მდივან ბეგებისაგან შესდგებოდა. საბჭოში თავმოყრილი იყო უმაღლესი ადმინისტრატიული, ფინანსიური სამსაჯულო სასამართლოები. საბჭო იყო ტფილისში და პირდაპირ ემორჩილებოდა მეფეს. როგორც საბჭოში აგრეთვე მეფესთან იყვნენ ცალკე მდივნები და იასაულები, რომლებიც გამომძიებლებისა და ბოქაულების ვალდებულობას ასრულებდენ. საბჭო არჩევდა თავად-აზნაურთა ყოველივე საქმეებს, ტფილის მოქალაქეთა საქმეებს და აგრეთვე გლეხების განსაკუთრებელ საქმეებს.

სოფლის საქმეებს განაგებდენ თავადები და მემამულეები, რომლებიც ყოველ საჩივრის გარჩევის დროს განაჩენს ადგენდენ. თუ რომელიმე მხარე კმაყოფილი არ დარჩებოდა სოფლის განაჩენითა, ნება ჰქონდა ტფილისის საბჭოში გაერჩევინებინა საქმე.

თუ მომჩივარნი მტყუანი გამოდგებოდა მაშინ მას აჯარიმებდენ.

ტფილისში სავაჭრო საქმეების გამგედ და აგრეთვე სომეხთა შორის მომხდარ უკმაყოფილების მომრიგებლად ინიშნებოდა ცალკე მელიქი. პოლიციის სამსახურს ეწეოდა ხუთი მოურავი, რისთვისაც ქალაქი გაყოფილი იყო ხუთ ნაწილად. სამეფო შემოსავლის ამკრეფად თითონ თბილისში იგივე მელიქ იყო, მხოლოდ ქართლში და კახეთში ორი სახლთ უხუცესი. ყოველი შემოსავალი სამეფოსი შეჰქონდათ საბჭოში.

მოურავების თანამდებობა ერთი-მეორეზე მემკვიდრეობით გადადიოდა. როდესაც მოხუცებულობისა ანუ მცირე წლოვანობის გამო მოურავს თავისი თანამდებობის შესრულება არ შეეძლო, მაშინ მათ მაგიერ მათ თანამდებობას ასრულებდენ მათი აპეკუნები მათივე გვარისა [3]).

---

*) იგულისხმება მარტო ქართლ-კახეთი. ა. ა.

[1] სათავადო და საეკლესიო აზნაურები მარტო ქართლში იყვნენ, კახეთში ისინი მე-XVI საუკუნიდან მოისპენ მეფე ლეონისაგან.

[2] დღემდის ეს ჩვეულება ლეჩხუმ-სვანეთშიდაც დარჩენილა. მაგ. მე თითონ მინახავს, როდესაც გლეხი ცხენით მიდის თუ თავადს შეხვდა, ცხენს გააჩერებს, გადმოხტება, თავს დაუკრავს, გზას მისცემს და მერე კი გზას განაგრძობს. ავ. აბესაძე.

რი, ივ. გომართელის,—„ტერიტორიალური ავტონომია და კლასთა ბრძოლა“—დ. ახვლედიანის—„ქართველო ქალებო“. მუშა მ. ღევაძისა „საუბარი სოფლის მუშასთან.

◆ აბასთუმანის და ბორჯომის სასახლეების ბედი. მუშათა დეპუტატების საბჭომ გადასწყვიტა ეთხოვოს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ დანიშნოს კომისია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებიდგან, რომელმაც უნდა განაგოს აბასთუმანის და ბორჯომის სასახლეების საქმე. მანამდის კი სასახლეების დასათვალიერებლათ მუშათა დეპუტატების საბჭომ გაგზავნა ამხ. როხლინი და ექიმი გვარჯალაძე.

◆ ქართველ მსახიობთა ყრილობის მოწვევა განზრახულია 30 აპრილისათვის თბილისში. ყრილობის საგანია ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის დაარსება.

◆ მასწავლებელთა შორის. ამიერ-კავკასიის კომისარმა კ. აბაშიძემ დააკმაყოფილა სახალხო მასწავლებელთა შუამდგომლობა დღიური დამატებითის ფულისა და ხუთწლეულ ნამსახურობისთვის კუთვნილ ჯამაგირის შესახებ. 19 აპრილს მასწავლებელთ უკვე მიეცათ მთელი ფული, რომელიც შვიდის თვის განმავლობაში ერგებოდათ.

◆ პროვოკატორების შეპყრობა. სოფ. ხაშმის აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიპყრო პროვოკატორები: კურკასიშვილი და მაისურაძე, და გამოგზავნა თბილისში.

◆ ყოფილ ეგზარხოსის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მართლმადიდებელ სამღვდელოებას ერთი წარმომადგენელი ჰყავდეს თბილისის აღმასრულებელ კომიტეტში, უარყოფილ იქმნა.

◆ თავ. მინგრელსკის მამულების საქმე. რადგან ზუგდიდის კომიტეტსა და მემამულეთა შორის დამოკიდებულება მეტად გამწვავდა, ამიტომ ამიერ კავკასიის კომისარიატმა ამ კითხვის გამორკვევა და მოგვარება მიანდო ყოფილ დეპუტატს ევგენი გეგეჭკორს.

◆ მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო დრუჟინა თბ. ვაჟთა მეოთხე გიმნაზიაში უკვე შესდგა: დრუჟინაში 40 მოსწავლეა. მასწავლებლის ნ. ფ. გოროდეცკის მეთაურობით დრუჟინა კარდანახში მიემგზავრება.

◆ ჯარის კაცთა ყრილობა. 23 აპრილს დაიწყება ფრონტზე მყოფ ჯარის კაცთა ორგანიზაციების დელეგატთა ყრილობა. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტებში დაადგინეს: ამ ყრილობაზე მოიწვიონ დეპ. აკაკი ჩხენკელი. ნაცვლათ აკაკი წერეთლისა, რომელიც, როგორც წარმომადგენელი პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოსი ამ ყრილობას უნდა დასწრებოდა, მაგრამ აღნიშნულ დროს ვერ ჩამოვიდა.

◆ ახალი რევოლიუციონური ქართული ჰიმნი. ცნობილმა მომღერალმა კოტე ფოცხვერაშვილმა შეადგინა ახალი რევოლიუციონური ქართული ჰიმნი, რომელიც უკვე იბეჭდება.

◆ კავკასიის ქალაქთა კავშირის კომიტეტმა მიიღო წინადადება კავკასიის კომიტეტის ცენტრალურ დაწესებულებების მოსამსახურეთა კავშირის, რომ ქალაქთა კავშირი და ცენტრალურ კომიტეტების მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენლებს ადგილი ქონდეს ქალაქთა კავშირის კომიტეტში.

◆ ქართველ კათოლიკეთა შორის. ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოზო კათედრის აღმადგენელი თბ. დროებითი კომიტეტი კვირას, 23 აპრილს, 12 საათზე, ქართ. კათ. მ. ძმების საეკლესიო სკოლის შენობაში იწვევს სამრევლო კრებას ასარჩევად დელეგატებისა მომავალ საერთო სადელეგატო კრებისათვის.

16 აპრილს ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრის აღმადგენელმა დროებითმა კომიტეტმა საზოგადო კრება მოიწვია, რომელსაც კომიტეტმა მიმდინარე საქმეები გააცნო და სთხოვა, კომიტეტი ახალის წევრებით გაეძლიერებინა. კრებამ კომიტეტში შემდეგი პირნი აირჩია: 1) ვიზიტატორი მამა ანტონაშვილი, 2) მღვდელი ლაზარე გოზალიშვილი, 3) მღვდელი რაფიელ ნებიერიძე, 4) ვ. პ. გასპარიშვილი, 5) პ. გ. ისარლიშვილი, 6, თავ. კ. პ. თუმანიშვილი, 7) თავ. ი. ნ. თუმანიშვილი, 8) ი. ს. ბეზირგანიშვილი, 9) პ. ი. ეზაშვილი, 10) ი. ი. საანიშვილი, 11) გ. ლ. ხარისჭირაშვილი, 12) დ. პ. დავრიშევი, 13) ი. ი. გოკიელი, 14) ალ. ი. გოკიელი. ამავე კრებაზე ხელმოწერით შეიკრიბა კომიტეტის საჭიროებისათვის 304 მ.

◆ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ჩხეიძე და სალდათები. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა სიეზდიდან დაბრუნებულნი მოწმობენ თუ რამდენათ პოპულიარია კარლო ჩხეიძის სახელი ჯარში. საბჭოს ერთ-ერთ კრებაზე სათათბიროში ფრონტიდან მოვიდა გამტვერიანებული, ჩაგლეჯილი და დაღლილი სამი ჯარისკაცი. კითხულობენ სადაა ჩხეიძე? მათ ჩხეიძეზე უთითებენ. ერთი ჯარისკაცი პირდაპირ ტრიბუნისაკენ გაემართა, მას ნ. ს. ჩხეიძე შეეგება.

„ჩვენო ძვირფასო მხსნელო“! შესძახა ჯარისკაცმა და ჩხეიძეს გადაეხვია. ასე დიდხანს იყვნენ გადახვეულნი. ამ სურათმა დამსწრეებზე დიდი გულის წარმტაცი შთაბეჭდილება მოახდინა. შემდეგ ჯარისკაცი შორდება ჩხეიძეს და ქვითინს ამოუშვებს. ბევრ დამსწრეთაგანს თვალებზე ცრემლი მოერიათ. პატარა ხნის შემდეგ ჯარისკაცი კვლავ მივიდა ჩხეიძესთან, გადაეხვია მას და დიდხნობამდის ასე ერთმანეთ ჩაკონებულნი იყვნენ.

როგორც სამხედრო სადაწესებულო საქართველო იყოფოდა ექვს სასარდლოდ. ომიანობის დროს, ყველა თავადები, აზნაურები და აგრეთვე ყველა მოურავები ვალდებულნი იყვნენ გამოცხადებულიყვნენ თავიანთი ჯარით თავის სარდალთან. ასე რომ თვითეული სასარდლო ადგენდა ცალკე რაზმს. სომხეთის სარდლად იყო თავ. ორბელიანი, ქიზიყის ანდრონიკაშვილი, გორისა ამილახვარი, ზემო ქართლისა ბაგრატიონ მუხრან ბატონიშვილი, თბილისისა ციციშვილი. კახეთის სასარდლოს შეფად (უფროსად) ირიცხებოდა რუსთავის ქორეპისკოპოსი, და მის რაზმს უფროსობდა ერთ ერთი თავადი, რომელსაც ყოველთვის თითონ ნიშნავდა. კახეთის ჯარს ყოველთვის უერთდებოდა ხევსურეთისა, თუშეთისა და ფშაველების მამაცი ჯარები, თავიანთი დეკანოზების წინამძღოლობით. ფშავ-ხევსურთა რაზმს ყოველთვის მეფე უფროსობდა.

ბორჩალოს მხრის თათრები ცალკე კორპუსს ადგენდენ, მათ თავის მოურავები უფროსობდენ.

რაზმების უფროსებს ასეთი სახელწოდება ჰქონდათ: ონბაში—ათის თავი; იუზბაში—ასის თავი; ხუთასის თავი; მინბაში—ათასის თავი და სარდლები—როგორიც ეხლანდელი ღენერლებია.

ფშავ-ხევსურელების ჯარებს ქართველი მეფეები ყოველთვის დიდის პატივით ეპყრობოდენ. მათთაგან მეფეები თავის პირად მცველ რაზმებს ადგენდენ.

ფშავ ხევსურელებიც აფასებდენ მეფების ყურადღებას და თავგანწირულად მსახურებდენ. დღიდან თვისი არსებობისა ფშავ ხევსურლებს მუდამ ორ დაუძინებელ მტრებთან უხდებოდათ ბრძოლა—ქისტებთანა და ლეკებთან, რომლებიც რიცხვით ასჯერ მეტი არიან მათზე, მაგრამ გმირ მთიულებს წარბიც არ შეუხრიათ და ბოლომდის შეინარჩუნეს თავიანთი კერა.

ფშაველებისა, ხევსურებისა და თუშების რიცხვი, რუსეთთან შეერთების დროს, 12,000 სულს არ აღემატებოდა, რომლებიც სულ 91 სოფელში სცხოვრებდენ.*) ომიანობის დროს მათ 2,000 საუკეთესო მეომარი გამოჰყავდათ.

უკანასკნელ დროს მათი მოურავები იყვნენ თავ. დიმიტრი და დურმიშხან ჩოლოყაშვილები.

საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდენ აგრეთვე სხვა ერებიც მაგალითად ოსები, თათრები და სომხები.

ა. აბესაძე.

(დასასრული იქნება)

---

[3]) საქართველოში, რუსეთთან შეერთების დროს 60 მოურავი იყო, ბევრი მათთაგანი ერთი და იმავე გვარისა იყვნენ, მაგ. ამილახვრებიდან იყვნენ სამნი ერასტი, გიორგი და ნინია, ჩოლაყაშვილებიდან—ხუთი: თავადია, დიმიტრი, დურმიშხან, ნიკო და დავით, ჯანდიერებიდან—ოთხი: ფრიდონ, ომან, დავით და როსებ და სხვ.

*) მათ რიცხვში არ შედიან ხევულები, მთიულები და გუდამაყრელები, რომელთა რიცხვი 14,000 სულს აღემატებოდა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს მესამე და მეოთხე საპოლიციო (საკომისარო) უბნებში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთ (განურჩევლად სქესისა და სარწმუნოებისა: ქართვ. ებრაელთ, კათოლიკეთ და სხვ.) უსათუოდ დაესწრონ საპარტიო კრებას 22 აპრილს, სამეურნეო ბანკის შენობაში (სასახლის ქ.) საღამოს 8 საათზე. კრების საგნებია:

პარტიის პროგრამის მოხსენება, საუბნო კომიტეტის არჩევა და სხვა საორგანიზაციო საკითხები.

დასწრება მხოლოდ წევრთა და თანამგრძნობთ შეუძლიანთ.

(1—656—1)

ქართველ სტუდენტთა კონფერენცია

(„საქართველოს“ დეპეშა)

ქართველ სტუდენტთა ბიურომ რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს უმაღლეს სასწავლებელთა ქართველ მოწაფეთ, დაადგინა, ეთხოვოს ამხანაგთ, რომ დრო კონფერენციის მოწვევისა დანიშნოს არა უახლოეს მაისის დამლევისა, ესე იგი, როდესაც საქართველოში ბრუნდებიან სტუდენტები უნივერსიტეტებიდან.

სრულიად კავკასიის მაჰმადიანთა ყრილობა

15 აპრილს ბაქოში გაიხსნა სრულიად კავკასიის მაჰმადიანთა ყრილობა.

ყრილობა გახსნა ბაქოელ მაჰმადიანების საზოგადო დაწესებულებათა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ვ. გაჯინსკიმ, რომელმაც თავის მისასალმებელ სიტყვაში განუცხადა, რომ ყრილობის განსახილველად პირველ რიგში წამოყენებულია საერთო ეროვნული საკითხები და მათ შორის საკითხი მაჰმადიანთა ეროვნული პოლიტიკისა საერთო სახელმწიფოებრივ საკითხებში, ხოლო კლასობრივი და სოციალური კითხვანი ჯერ ჯერობით გადადებულ უნდა იქმნან, რადგან მათი გარდაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საერთო ეროვნულ კითხვათა შემდეგ.

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ ა. მ. ბ. ტოფჩიბაშევი, ნ. ბ. ნარიმანოვი, ი. ბ. გაიდაროვი და ნ. ბ. იუსუფოვი.

თავმჯდომარის თოფჩიბაშევის წინადადებით ყრილობა მიესალმა სახ. სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტს, როძიანკოს, ჯარის კაცთა და მუშათა საბჭოს და ამიერ კავკასიის კომისარიატს, რომლის წარმომადგენელი ბ-ნი ჯაფაროვი ყრილობას დაესწრო.

შემდეგ ორატორი ეხება საკითხს, თუ რა საშუალებით შეუძლიათ მაჰმადიანებს განახორციელონ თავისი ეროვნული და პოლიტიკური მისწრაფებანი და ამბობს, რომ ყველა კავკასიის ეროვნებანი შეერთებული და საერთო მისწრაფებით შეკავშირებულნი უნდა წავიდნენ რუსეთის დამფუძნებელ კრებაში.

ყრილობას ესალმება ამიერ კავკასიის კომისარი **ჯაფაროვი** და მოუწოდებს მაჰმადიანებს დასტოვონ ყოველივე პარტიული განცალკევებანი და მჭიდროდ შეკრან კავშირი და სიტყვიდან საქმეზედ გადავიდნენ თავის ეროვნულ მისწრაფებათა განსახორციელებლად. დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მაჰმადიან მწერალ ქალის შ. ყ. ეფენდი ზადეს გამოსვლამ, რომელიც პირველად გამოვიდა საჯაროდ ჩადრ ახდილი და მაჰმადიან ქალთა უფლებისადმი ყურადღების მიქცევა მოითხოვა.

ყრილობას მიესალმა სომხურ დაწესებულებათა წარმომადგენელი **ვერმიშევი**, რომელიც იმედოვნებს, რომ როდესაც ყრილობა გამოარკვევს თავის დამოკიდებულებას სხვა ერებთან, იგი ერთი ლოზუნგით იხელმძღვანელებს: ძმობა, ერთობა, თავისუფლება და საითკენაც უნდა გადიხაროს მაჰმადიანთა თავისუფალი ნება, სომხები მათთან ერთად იქნებიან, რადგან მათ გულშია უძლევი საჭიროება მაჰმადიანებთან ერთობისა.

ილაპარაკეს აგრეთვე ებრაელთა და პოლონელთა წარმომადგენლებმაც, რომელნიც მოუწოდებდნენ ყველა ერებთან ერთობის დაცვას.

ყრილობა აღფრთოვანებით შეხვდა ამიერ კავკასიის დროებით მუფთის **მ. ე. ეფენდიევს**, რომელმაც ლამაზ სიტყვაში მოუწოდა მაჰმადიანთ მტკიცეთ შეჰკრან კავშირი თავის მისწრაფებათა მისაღწევად. მისი აზრით კავკასიის მაჰმადიანთა ეროვნულ პოლიტიკურ ლოზუნგათ უნდა იქმნეს აღიარებული ფედერატიული რესპუბლიკა. ეფენდიევის სიტყვის შემდეგ კომისარმა ჯაფაროვმა განაცხადა, რომ ეფენდიევი მუფთის თანამდებობაზედ დროებით იქმნა დანიშნული, მაგრამ იმ აღფრთოვანების შემდეგ, რომლითაც ყრილობა მას შეხვდა, იგი არჩეულად შეიძლება ჩაითვალოს.

ჯაფაროვის წინადადება ყრილობამ ტაშის ცემით მიიღო.

სხდომა დროებით შესწყდა.

დიმიტრი ჭიაბრიშვილის საქმე

თბილისის კომიტეტმა 1 აპრილს შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა, იქონია რა მსჯელობა დუშეთის კომისარიატის უკანონო მოქმედებებზედ, ჰსცნო იგი კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლად, და მისთვის დაადგინა: დუშეთის კომისარიატს ჩამოსცილდნენ ჭიაბრიშვილი და ცაგარელი, ხოლო ახალ კომისრად დაინიშნოს ჯავახიშვილი“.

თბილისის კომიტეტის დადგენილება თავისი ფორმით კანონიერობას გადადის და ძალადობითი დამორჩილებად ისახება, ხოლო არსებითად ეწინააღმდეგება სიმართლეს.

რისათვის იქმნა მოწვეული აღმასრულებელ კომიტეტთა საბჭო?

საქმის წესდებით კომისარს ირჩევს სამაზრო კომიტეტი და ამტკიცებს კავკასიის საგანგებო კომიტეტი. იქ, სადაც ჯერ-ჯერობით არ არის კომიტეტი, უნდა აირჩიონ თბილისურ ტიპის დაგვარად.

დუშეთის აღმასრულებელი კომიტეტი დაარსდა თბილისელ კომიტეტის შემდეგ, მხოლოდ იმ პირობით, რომ როგორც სამაზროში, სარაიონო წარმომადგენლებიც შედიოდნენ. ამავე დუშეთის კომიტეტმა კომისრად აღმომირჩია და კავკავიდან დეპეშით გამომიწვია. რას აკეთებს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი? იგი მე, ხალხის მიერ ამორჩეულს მცვლის და ჩემს მაგივრად ჰნიშნავს, თავად ჯავახიშვილს. აღნიშნულმა თ. ჯავახიშვილმა უარჰყო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, თბილისის თვითმართველობა, ხოლო არჩევნები ახალი სისტემით 20 აპრილისთვის დანიშნა. მე ეჭვი მებადება თუ ამგვარი ადამიანები შესძლებენ რევოლიუციის დამყარებას. ამისთვის არ შემიძლია არ გამოვაცხადო პროტესტი და არ აღვნიშნო, თბილისის კომიტეტის შეცდომა. ამისთვის ვჰთხოვ: ა) მოისპონ 20 აპრილის არჩევნები, შეეძლოს ამის გაკეთება ქალაქს და არა თავად ჯავახიშვილს, ბ) გაწვეულ იქმნას კომისარი ჯავახიშვილი, დაარსდეს ახალი კომიტეტი ახალ საფუძველზე. თბილისის კომიტეტი მით აღასრულებს დიდებულ პრინციპს თავისუფლებისას: საკუთარი მმართველობა ხალხისა და არა რამდენიმე პირისა. პირველად ბრალს მდებენ მასთვის, რომ მილიცია შევადგინე თავად-აზნაურობისაგან. როგორ? ნუ თუ თავად-აზნაურობას არ ძალუძს სისხლი დაღვაროს თავისუფლებისა და რევოლიუციისთვის. მაგალითისთვის შორს არ წავალთ. მე გლეხი სოფ. ქორანისა (დუშ. მაზრა) გადმამაყენეს. ხოლო გორის კომისრად თ. ჯავახიშვილი დანიშნეს. მოველი თუ არა პირველ დღესვე დავითხოვე ძველი ყარაულები. რადგანაც ადგილობრივთ არ ვიცნობდი კარგად, ვსთხოვე სარაიონო კომიტეტს ამოერჩიათ მილიციონერები მათი სვინიდისიერების დაგვარად. თვით ქალაქ დუშეთში მოქალაქეებმა ჩემი წინადადებით ამოირჩიეს 5 კაცი, რომელთაც იარაღი მივეც მათი მოწმობების გადასინჯვის შემდეგ. ეს არის ჩემი პირველი დანაშაული რევოლიუციის მიმართ.

მერმე ბრალდება,—რომ მე დავიჭირე სოც.-დემოკ. პროპაგანდისტი ვინმე ასათიანი, ესეც უსაფუძვლო ბრალდებას წარმოადგენს. ასათიანის დაპატიმრებამდე, მე გავიგე, რომ ვინმე უცხო ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში ჰმართავს საუბარს. მცხოვრებნი, რომელიც მისს დაპატიმრებას თხოულობდნენ დავაშოშმინე იმ პირობით, რომ მე კრების გამართვის ნებას არ მივცემდი, თუ კი მას ორგანიზაციის ანუ პარტიის მანდატი არ ექმნებოდა. შემდეგ თვით ასათიანი მოვიდა ჩემთან და განაცხადა, რომ იგი გამოგზავნილია სასურსათო საგუბერნიო კომიტეტის მიერ კომიტეტების საორგანიზაციოდ. მაგრამ მე უპასუხე, რომ მის შესახებ შესაფერი ზომებია მიღებული და მის შეშველებას არა ვსაჭიროობთ, შემდეგ, ჩავაგდეთ ოფიციალი ქაღალდი. 30 მარტს მე წაველი შორეულ სარაიონო კომიტეტში. მიიღო რა ქაღალდი იგი გამოეთხოვა ჩემს მოადგილე ტატიშვილს და უთხრა, რომ იგი მიდის თბილისში, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ იგი მიტინგს მართავს ს. ბაზალეთში. მე გავგზავნე ორი მილიციონერი შესაპყრობად და როცა შევეკითხე, თუ რა უფლება ჰქონდა კრების გასამართავად, მან სულ მოკლედ მომიგო: მიტინგი არ გამიმართნია, ბაზალეთში კი სადგურიდან შევიარე, მიუხედავად იმისა, რომ ბაზალეთი 5—6 ვერსით დაშორებულია. აი ასათიანის დაპატიმრების ისტორია და ჩემი მეორე გამოსვლა რევოლიუციის წინააღმდეგ. მიტინგის გასამართავად საჭიროა ჯგუფის მანდატი, რაიცა ანტი-რევოლიუციონერები არ გაუშვებენ სამოქმედოთ. მე თვით ნოე ჟორდანიასაც არ გაუშვებდი სამიტინგოდ თუ კი მას ორგანიზაციის მანდატი არ ექნებოდა. ვინ არის ასათიანი? ნუ თუ ის ისეთი დიდებული დემოკრატია, რომ მისი გულისთვის გადაყენებულ იქმნეს კომისარი, სამაზრო კომიტეტი და საგუბერნიო თვითმართველობა. ხოლო თუ კი სხვა რაიმე ბრალდებას მიპოვიან ჩემი მოპირდაპირენი, ვთხოვ საჯაროდ განაცხადონ თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე.

ახლა მსურს შევეხო რომელი მდგომარეობა უჯობდა დუშეთს? 1 აპრილამდე თუ 1 აპრილის შემდეგ? აქ მოგცემთ მის შესახებ მცირე განმარტებას. დუშეთის კომიტეტის და ჩემი (მისი კომისრის) უპირველესი საქმე იყო, როგორც ქალაქში მცხოვრებთათვის ისე სოფლელებისათვისაც გვეგრძნობინებინა სრული სილამაზე და სიდიადე ახალ ცხოვრებისა. ამისთვის ჩვენ გადავწყვიტეთ ყველაზე მწვავე საკითხები. ა) დაარსდეს საავადმყოფო. ბ) დაარსდეს 4 კლასიანი სასწავლებელი, რისთვისაც აგერ 4 წელიწადია წვალობს დუშეთი. გ) სასურსათო საკითხი ყოველთვის ჩემ დიდ ყურადღებას იქცევდა. ყოველგვარ საშუალებას ვხმარობდი მიწის დასათესად. და აი, როცა მე ასე დავდიოდი რაიონებში სამუშაოდ, თბილისში უკვე ამზადებდნენ ჩემს კონტრ-რევოლიუციონერობის ნიადაგს და ამხედრებენ ჩემს წინააღმდეგ მოსახლეობას. მსურს აგრეთვე შემდეგ სამაზრო ყრილობას განუცხადო ჩემი საგულისხმო ცნობანი. მაგალითად, ყაზბეგის რაიონში მძვინვარებს სახადი, ექიმი კი ერთის მეტი არ არის.

ამასთანავე ჩემთან გამოცხადდნენ გაქცეულები (დეზერტირები), რომელთაც მთხოვეს მიმეცა ვადად კვლავ 10 დღე, რათა მთაში წასულ ამხანაგებისათვის შეეტყობინებინათ. ეს ცნობაც მომქონდა თბილისში მაგრამ, მალე ჩადგა კომისრად ჯავახიშვილი და საქმე აირივ დაირია. მეორე დღითვე წამოველი, მაგრამ ავადმყოფობამ ლოგინში ჩამაგდო და მხოლოდ დღეს შევიძელ ამ საქმის გაკეთება. დუშეთის ამბები ეხლაც მომდის. თავის თანაშემწედ ჯავახიშვილმა დანიშნა პრაპორშჩიკი პეტროვი, რომელსაც ადგილობრივ მცხოვრებთ არაფერი არ გაეგებათ. ახლა ვიკითხოთ, რად დასჭირდათ ასეთი შეურაცხყოფა მიეყენებინათ მთელი მაზრისათვის? მე სრულიადაც არ მაშინებს ჩემი კონტრ-რევოლიუციონერად მონათვლა, რადგან ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობა კარგად უწყიან როგორც აქ უნებმა, ისე ჩრდილოელ ამხანაგებმა. საჭიროა, მხოლოდ დუშეთს აღუდგინოს ძველი უფლებანი ამისთვის ერთხელ კიდევ მივმართავ თხოვნით დუშეთის კომიტეტს გაასწოროს საქმე სანამ შეიძლებოდეს და კავკასიის რევოლიუციის ისტორიიდან ერთი სამარცხვინო ფურცელთაგანი ამოიხოს.

საქართველო და ფინეთი

ფინეთის ავტონომიის აღდგენა მგონი თვით ფინეთის ხალხს არ გახარებია ისე, როგორც ქართველებს გაგვეხარდა.

მოგეხსენებათ, ქართველი კაცი ნატვრითა და ოცნებითა სცხოვრობს: გვეგონა, ეს არის ჩვენთვისაც გაიხსნება ცა და რასაც ვინატრიდით, აგვისრულდებაო. სანატრელი კი ბევრი გვქონდა. ახალმა მთავრობამ დიდის ზეიმით გამოაცხადა, რომ იგი საქვეყნოთ გმობს ძველი რეჟიმის ძალმომრეობის პოლიტიკას პატარა ერებისადმი და ამიტომ ფინეთის ხალხს უდგენს ძალმომრეობით წართმეულ უფლებებს, რათა დამოუკიდებლად და თავისუფლად განაგოს მან თავისი შინაური ცხოვრებაო.

ეს არ იკმარა; ახალ მთავრობის გულმტკივნეულობა და ჩაგრულ ერებისადმი იქამდინ მივიდა, რომ მან უცხო სახელმწიფოებსაც კი (ავსტრიას და გერმანიას) მოსთხოვა გაეთავისუფლებინა პოლონეთის ნაწილები, რათა უსამართლოდ დაწეწილი და დატანჯული პოლონელი ხალხი კვლავ გაერთიანებული აღმდგარიყო თავისუფალ და დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის.

მოდი და ამის შემდეგ ქართველი კაცი სიხარულით ცას ნუ მიეწევოდა! როგორ წარმოიდგენდა, რომ ახალი მთავრობა, სამართლიანობის გრძნობით აღზნებული, გამოესარჩლებოდა პოლონეთის ხალხს, რომელიც ამ გამოსარჩლებას არა სთხოვდა; რომ ახალი მთავრობა გაიხსენებდა და დაინახავდა ძველის მთავრობის მიერ მიყენებულ უსამართლობას ფინეთის ხალხისადმი, რომელიც გულხელ-დაკრებილი შესცქეროდა რუსეთის ხალხის სისხლის ღვრას, და იგივე ახალი მთავრობა ვერ დაინახავდა, როგორის ძალმომრეობით და უსამართლობით იქელებოდა ას-თექვსმეტის წლის განმავლობაში ქართველ ხალხის უფლებანი, იმ ხალხისა, რომელმაც რუსეთს შესწირა თვისი საუკეთესო შვილები და დღეს სისხლით დაცლილი, სიკვდილის კარს მდგარი, მათხოვარივით ხელგაშვერილი ევედრებოდა:

სიცოცხლე მინდა; ნუ გამწირავ; სხვებთან ერთად მეც მინდა მქონდეს თავისუფლებაო!

არა, ეს წარმოუდგენელი იყო; ახალი მთავრობა, ლოღიკურად განავითარებს თავის მოქმედებას და საქართველოს უფლებების აღდგენით დააგვირგვინებს.

ასე ფიქრობდა და ოცნებობდა ქართველი.

მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდა. პირველი ხომ არ არის ქართველის იმედების გაცრუება და ამას, უეჭველია, ადვილად შეურიგდება.

გაუცრუვდა იმიტომ, რომ მოსტყუვდა ახალი მთავრობის მოქმედების შეფასებაში:

ჩვენ გვეგონა, რომ მთავრობის აქტი გამოწვეული იყო უზენაესი სამართლიანობის პრინციპით; ნამდვილად კი მისი მოქმედება ნაკარნახევი იყო პოლიტიკური მოტივებით. ამ მხრით კი საქართველოსა და ფინეთს შუა ანალოგიის გატარება არ შეიძლებოდა. მართალია, ორთავე ქვეყანას რუსის მეფების ძველმა მთავრობამ ძალმომრეობით წაართვა მინიჭებული უფლებანი, მაგრამ ამ ძალმომრეობას,- ჩვენი ხალხი რომ ადვილად შეურიგდა, ფინეთის ხალხი როდი შერიგებია. უხეშ ძალას, მართალია, ფინელები არ გამკლავებიან, ისე როგორც ჩვენ არ გავუმკლავდით, მაგრამ იგი ამ ძალას თავის დღეში არ დამონებია. ფინეთის ხალხი მტკიცედ იბრძოდა და სწამდა, რომ, ადრე თუ გვიან სამართლიანობა გაიმარჯვებდა და ძალმომრეობა დაიჯაბნებოდა.

ასეთის რწმენით შეხვდა ფინეთის ხალხი ამ უმაგალითო ომს, რომელშიაც რუსეთის ხალხი ჩაება.

როდესაც რუსეთში რევოლიუციამ იფეთქა, უპირველესად ყოვლისა, ახალ მთავრობისათვის საჭირო იყო შინაური ძალების მოკრება. მარტო პეტროგრადის მუშებით და გარნიზონით იგი ფონს ვერ გავიდოდა, თუ მთელი ხალხის თანაგრძნობაზედ არ დაეყრდნობოდა; ეს თანაგრძნობა ნახევრად უკვე მოპოვებული იყო ძველის რეჟიმის დამხობით. თავისუფლების დროშის ქვეშ, უეჭველია, თავს მოიყრიდა ყველა, ვისაც კი მძიმედ აწვა ძველის რეჟიმის ტირანია,—ამიტომ პირველი სიტყვა ახალს მთავრობისა იყო—თავისუფლება; თავისუფლება ყველასათვის განურჩევლად და მოსპობა ეროვნებათა უფლებების შემზღუდველ კანონებისა. ახალმა მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ასეთის თავისუფლების გამოცხადება ყველა ეროვნებას აამებდა, თუმცა სავსებით კი არც ერთს არ დააკმაყოფილებდა. მით უფრო არ დააკმაყოფილებდა ფინეთის ხალხს, რომლის ნატკენ გულის იარას ცარიელი სიტყვები და დაპირება ვერ გაუმთელებდა. ამას კიდევ ყურადღებას არ მიაქცევდა, რომ ძლიერი მტერი კარზედ არ ყოფილიყო მომდგარი; მას დღითი-დღე პეტროგრადში მოელოდნენ. მართლა რომ ღმერთი გაგვწყრომოდა და მოსულიყო! მერე? მერე ისა, რომ ახალ მთავრობას არ შეეძლო ისეთივე შეცთომა ჩაედინა, როგორიც ძველმა მთავრობამ თავის სიბეცით ჩაიდინა პოლონელი ხალხის მიმართ. ფინეთის ხალხისათვის უნდა მიენიჭებინათ სრული ავტონომია და მიანიჭეს კიდეცა.

დაკმაყოფილდა ამით ფინეთის ხალხი? ჯერ-ჯერობით კი; მაგრამ ვინც იცოცხლებს, ის ნახავს, რომ ფინეთის ხალხი ამით არ დაკმაყოფილდება. საერთაშორისო კონგრესზედ, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც, უეჭველია, ომის დაბოლოვებას მოჰყვება, იგი მოითხოვს გარანტიას, რომ რევოლიუციის ქარით მოტანილი თავისუფლება, ქარმავე არ წაიღოს, და რასაც იგი მოითხოვს,—ყველა სახელმწიფო მხარს დაუჭერს და დააკმაყოფილებს; იმიტომ რომ ხალხს, რომელსაც ეროვნული თავმოყვარეობა არ დაუკარგავს, რომელსაც შეგნება აქვს დაიცვას თავის უფლება, სახელი და პატივი, ასეთ ხალხს მტერიც და მოყვარეც ერთნაირად პატივს სცემს.

პ. ტიზერელი.

საქართველოს კათალიკოსი

ძველმა რეჟიმმაც ვერ გაბედა კათალიკოსის პატივიდამ ამოგდება ტერმინისა „საქართველო", და მის მოადგილეს იხსენიებდა ექსარხოსად „გრუზიისა". ახლა-კი, ამ ნამდვილ თავისუფლების დროს გვიქადაგებენ, გამოვეთხოვოთ „საქართველოს" და ჩვენს კათალიკოზს ვაკმაროთ მამათ-მთავრობა „ქართველთა" და არა საქართველოისა. ნუ თუ არ უწყიან, რომ მსოფლიომ 1500 წლის განმავლობაში იცოდა მხოლოდ **საქართველოს** კათალიკოზ-პატრიარქი, რომ საქართველოს პატრიარქი უწყალო რეჟიმმა მონათლა „ექსარხოსად გრუზიისა", რომ ამ „გრუზიის" ამოგდებაც, თუ ვისმე სურს, მოლაპარაკება უნდა ჰქონდეს არა კათალიკოზის მოსაყდრესთან, არამედ მთელ ქართველ ხალხთან. ვფიქრობ და დარწმუნებულიცა ვარ, ქართველ ერს რომ შეეკითხნენ ამ საქმის შესახებ, იგი ირჩევს სულაც არა ჰყავდეს კათალიკოზი, ვიდრე მამათ-მთავრის ტიტულიდამ ამოიშალოს საქართველო.

არ ვიცი, ვის რას უშლის ეს დამსახურებული საქართველო. ამან ხომ აზიაში წმინდად დაიცვა მართლ-მადიდებლობითი ქრისტიანობა და მერე წმინდადვე ჩააბარა დიდ რუსეთს. თუ არ ეს „საქართველოს მამათმთავარი", რა დარჩებოდა ქრისტიანობიდამ არა თუ კავკასიაში, არამედ, ეგების, პალესტინაშიაც, რომლის ქტიტორებად მაჰმადიანობა სთვლიდა ქართველ მეფეებს! რა დარჩებოდა იმ უდიდეს საქრისტიანო კულტურიდამ, რომლის ნიმუშები ასე მრავლად ამშვენებენ დღეს ქართულ საეკლესიო და საერო მუზეუმებს! რა დარჩებოდა ოს-ბერძენ-სომხობიდამ, რომელნიც ქართველ მამათმთავრის წიაღში ჰპოულობდნენ საქრისტიანო შვებას და რომელთათვისაც დაწესებულ იყო საეპისკოპოსო კათედრები **ნიქოზს** (ოსებისათვის), **ახტალას** (გადმოხვეწილ ბერძენთათვის), **ხანჱს-ახპატს** (აქაურ სომეხთათვის), თბილისს (ქართველ კათოლიკეთათვის) რა დააკლდათ ან ერთს ან მეორეს, ეროვნულის მხრივ, იმით, რომ შედიოდნენ საქართველოს პატრიარქის სამაკურთხევლოში?

არა თუ დააკლდათ, პირიქით, კიდეც მოიგეს, რადგან ქართველებთან ერთად სარგებლობდნენ საერთო თავისუფლებით, როგორც განუყრელნი ძმანი, მათაც ყველას წილი ედოთ, ვით ქართველებს, მეფობაში, სპასალარობასა და სხ. ხელის-უფლობაში, საკულტურო სწრაფვაში. საქართველოს ეკლესიამ და მეფობამ არ იცოდა ეროვნებათა დევნა, სარწმუნოება სინიდისის საქმედ მიაჩნდა და თვით მაჰმადიანებს, მეტადრე მათს ხოჯებსა და პოეტებს, ისევე პატივით ეპყრობოდა, ვით წმინდა წყლის ქართველებსა, სომხებსა, ოსებსა, ებრაელებსა, ბერძნებსა, ფრანგებსა, რუსებსა და სხვათ.

ახლაც ახალმა დიდმა და სასურველმა მთავრობამ, რომლის დაწესებას, თუ არა ვცდები, თვალსაჩინო ღვაწლი დასდო ქართველმა დემოკრატიამ, არ უნდა დაგვიშალოს, რომ ჩვენმა ეკლესიამ იაროს იმავე გზით, რომლითაც სახელოვანად ვლიდა 1811 წლამდე და, შეძლებისამებრ, სთესავდა კაცთა შორის სათნოებას, უგალობდა დიდებას მაღალთა შინა ღმერთს და ქვეყანასა ზედა ჰნერგავდა მშვიდობას.

ვერ წარმოგვიდგენია, ვის რა დაუშავდება, თუ საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად მის ტერიტორიაზედ განახლდებიან „ნიქოზელი" და „ახტალელი", და მასში შევლენ ნაციონალური ეპისკოპოსნი ოსთა, ბერძენთა და კიდევ რუსთა (ავტონომიური).

გვეუბნებიან, ქართველებს ამის უფლება დაკარგული აქვთო, რადგან თავიანთ ტერიტორიაზე აწ ნულ მოსახლეობათა უმცირესობას შეადგენენო, მაგრამ ეს ტყუილია. თბილისის გუბერნიაში ქართველები 1886 წლის აღწერით შეადგენენ 49,09 პროც.-ს ქუთაისისაში 92,27 პროც.-ს, შეათანა რიცხვით—75,68 პროც.-ს. ამ რიცხვში არ შედიან ინგილოები (15,000-მდე), ახალციხე-ახალქალაქის მაჰმადიანი ქართველები თათრებში ჩათვლილი, და სხ. ამათით ქართველთა რაოდენობა ამიერ-იმერეთში ავა 80 პროც.-მდე.

კვლავ დაუმატებენ, თუ ქართველებს მიეცა ავტოკეფალია და ავტონომია, დაიჩაგრებაო აქ მცხოვრებ სხვა ხალხების ინტერესები. ამისთანაების ლოღიკით, გამოდის, რომ სხვა და სხვა ხალხების უმცირესობას—რაღაც 20 პროც.-ს უნდა შეეწიროს ინტერესები 80 პროც.-იან ერისა, ისიც ბინადარისა, ღვაწლვილისა ყოველგვარ სათვითგამორკვევო საავტონომიო უფლებებით! ნუ ითხოვთ, სხვების ინტერესები დაიჩაგრებაო. პირიქით. უნდა ვითხოვოთ, რომ საქართველო არ იქცეს ერების დომხალად და ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს მიზეზი არასასურველ ქიშპობისა მათ შორის.

საქმე ის კი არ არის, რამე ნაირად დაგვითანხმოთ **ნაციონალურ** და არა ტერიტორიალურ კათალიკოსობაზე, არამედ ის, რომ საქმე ისე მოაგვაროთ, საუკუნოდ მოისპოს ამ საკათალიკოზოში შეხლა მრავალ ერებისა. მიუჩინეთ ყველას თავისი მისადევარი და თვალყური ადევნეთ. ერთმა მეორე არ დაჩაგროს, ყველამ ახაროს თავის ლეღვის ქვეშე, ყველამ გამოიჩინოს თავის გვარ-ტომის შესაფერი კულტურული ალმაფრენა, ყველამ აამუშაოს თავისი ნაციონალური გენია და თავისი წვლილი შეჰმატოს სახელმწიფოს და საკაცობრიო სალაროს.

აი, ამიტომაც, ჩვენ იქამდისაც მივდივართ, რომ გვსურს საერთო საეროვნო საქმეების გასაძღოლად საქართველოს პატრიარქთან სუფევდეს განსაკუთრებული საბჭო თითო წარმომადგენლით მაჰმადიან-კათოლიკე-ებრაელ-სომეხ ქართველებისაგანაც.

კვლავ ვიმეორებთ, გვეუბნებიან, საქართველოს პატრიარქი იყოსო ნაციონალური და არა ტერიტორიალური. მაგრამ ტერმინში „ნაციონალური" შედიან ყველა ქართველები, და განა ქართველი მაჰმადიანები, კათოლიკე ქართველები და სხ. დათანხმდებიან, რომ მათაც გულისხმობდეს ახალი ტიტული „კათალიკოზი ქართველთა"? სულ სხვაა წინანდელი: — „კათალიკოზი საქართველოისა". გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში პირდაპირ ნათქვამია, რომ საქართველოდ ითვლებაო ვრცელი ქვეყანა, ის, საცა **წირვა სრულდებაო ქართულად**. ამაზე შორს არ მიდის დღეს ქართული **ტერიტორიალური** ავტოკეფალიაც.

ქართველებს თავიანთ მამულის და სარწმუნოების დაცვისათვის ენით გამოუთქმელი ვაჟკაცობა და გმირობა გამოუჩენიათ, ყოველი მტკაველი თავის მიწისა ათასჯერ გაუპოხიერებიათ თავიანთ სისხლით, და ისტორიული, ზნეობრივი და კანონიერი, ტრაქტატის ძალით, უფლება აქვთ ამნაირად გაპოხიერებულ მიწაზე ჰქონდეთ თავიანთი ტერიტორიალური მამათ-მთავრობა და თავიანთი თვით სჯულიერება.

მიეცით ქართველებს რაც ეკუთვნით. მათ რუსეთის დიდებისათვისაც მახლობელ აღმოსავლეთში ფასდაუდებელი სამსახური გაუწევიათ და ახლაც გმირულის ერთგულობით თავს სდებენ საერთო სახელმწიფოს განდიდებისა და გამარჯვებისათვის.

უსამართლობით შეჩრებული საკათალიკოზო თქვენ სიმართლით აღადგინეთ მის მამათმთავრის სრულის ტიტულის შენარჩუნებით: „უწმიდესი კათალიკოსი, ზემოისა და ქვემოის და სრულიად საქართველოს პატრიარქი". და ეს ჩასთვალეთ განთავისუფლებულ დიდ რუსეთის საღმრთო ნიჭად და საუკუნო უხრწნელ ძეგლ-სახსოვრად.

მორწმუნე.

წერილი უკრაინიდან

რევოლიუციის პირველ დღიდანვე უკრაინაში ძლიერმა ეროვნულმა მოძრაობამ იფეთქა. თავისუფლების მოყვარული ერი, რომელიც სხვა ერებთან ერთად რუსეთის თვითმპყრობელობის საზარელ ბორკილებში იზნიქებოდა, და მალულად აღრმავებდა თავის გულში ეროვნულ შეგნებას, ამ ბორკილების აყრით მყის ფეხზედ წამოდგა და სწრაფად შეუდგა თავისი ცხოვრების შენებას. ყველა ორგანიზაციები და პარტიები ადვილად შეერთდნენ ერთი ლოზუნგის გარშემო.

„უკრაინის თავისუფლება", სამშობლოსათვის თავს დადება". და მწყობრი მუშაობა დაიწყეს თავისუფლების პირველ დღეებშივე. ყველა პარტიათა და ეროვნულ დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან სწრაფად შესდგა უკრაინის ცენტრალური რადა, რომელმაც ხელში აიღო თავის ერის მმართველობის საქმენი და უკრაინის ეროვნულ კონგრესის მოწვევას შეუდგა, რომელიც ხვალ გაიხსნება. ერთი ხმა არ ამოღებულა ამ კონგრესის საწინააღმდეგოთ და ხელი ხელ ჩაკიდებული შეუდგნენ მზადებას უკრაინის ნაციონალისტი და სოციალ-დემოკრატი; ყველანი ერთი მიზნით იყვნენ გამსჭვალულნი, რაც შეიძლება მალე განემტკიცებინათ საყვარელ სამშობლოს თავისუფალი ცხოვრება.

მაგრამ ამ უკანასკნელ კვირეებში, კონგრესის გახსნის დრო რომ მოახლოვდა, რუსულ საზოგადოებაში და რუსულ პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყეს ლაპარაკი, თითქოს ცენტრალურ რადას სურს წინადადება მისცეს კონგრესს მოიწვიოს უკრაინის დამფუძნებელი კრება, რათა დაუყოვნებლივ განახორციელოს თავისი ავტონომია.

ამ საკითხის გარშემო სჯა ბაასმა ისეთი ცხარე ხასიათი მიიღო, რომ იგი გადატანილ იქმნა კიევის საზოგადო დაწესებულებათა აღმასრულებელ კომიტეტის, მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს განსახილველად.

აღმასრულებელ კომიტეტმა დანიშნა შეერთებული კრება თავისის და ცენტრალურ რადის პრეზიდიუმთა, რათა გამოერკვია სიმართლე ამ ხმებისა და უკრაინის პასუხის მგებელ ორგანიზაციის და რადის მისწრაფებათა გასაცნობად.

ეს კრება ფრიად საყურადღებო იყო მით, რომ უკრაინის თავისუფლებისათვის მებრძოლნი კიევის რევოლიუციის მეთაურთ შეხვდნენ, რომელნიც მალული შიშით უყურებენ უკრაინის ეროვნულ მოძრაობას, რომელიც თავის სახეს დღითი დღე აღიდებს.

ამ კრების ანგარიშის გადმოცემა ქართველთათვის ინტერეს მოკლებული არ იქნება, რადგან უკრაინელთა და არა უკრაინელთა განწყობილება რამოდენადმე წააგავს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას.

კრება გახსნა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე სტრადომსკიმ, რომელმაც განაცხადა, რომ დღევანდელი კრების მიზანია გამოირკვეს თუ რამდენად მართალია ის ხმები, თითქოს უკრაინაში ძლიერია ის პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელსაც სურს დაუყონებლივ დაამყაროს უკრაინის ავტონომია და შესაძლებელია სრული დამოუკიდებლობაც გამოაცხადოსო. თვით იგი, თუმცა ამ ხმებს სკეპტიკურათ უყურებს, მაინც კომიტეტის წევრებში აღელვებას იწვევს და საჭიროთ სთვლის მდგომარეობა სავსებით გამოირკვეს. უკრაინის რადის სახელით გამოვიდა პროფ. მ. ს. გრუშევსკი, რომელმაც უკრაინულ ენაზედ ილაპარაკა. „ჩვენ აქ მოველითო— სთქვა მან—არა მარტო იმისთვის, რომ რაღაც ხმები გაგვეფანტა და უკრაინის ერისა და ადგილობრივ სარევოლიუციო ორგანოებთა შორის მომხდარი გაუგებრობანი აგვეხსნა, არამედ გამოგვერკვია ჩვენთვის ფრიად საჭირო საკითხი—ჩვენ საქმე გვაქვს გაუგებრობასთან, თუ პრინციპიალურ განსხვავებასთან? სამწუხაროა, რომ თქვენ ცნობები შეგიკრეფიათ არა ოფიციალურ წყაროებიდან—ცენტრალურ რადიდან, ავტორიტეტით აღჭურვილ უკრაინელ მოღვაწეთაგან, არამედ ვიღაც უცნობ და საეჭვო პირთაგან. ჩვენ არ შეგვიძლია აგრეთვე სასტიკი პროტესტი არ გავაცხადოთ იმ მუქარის გამო ჩვენს ყურამდის რომ მოაღწია. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სახელით განუცხადებიათ, რომ თუ უკრაინის კონგრესმა თავისი თავი დამფუძნებელ კრებათ გამოაცხადა, იგი ხიშტებით იქნება დაშლილი.

მე გეკითხებით თქვენ—როგორ უცქერით ასეთ მოვლენათა შესაძლებლობას?

ნუ თუ ეს ჩვენ დიპლომატის ტოლეირანის საშუალებათა ჩაბარება არ არის? ჩვენ უკრაინის ნების მაღიარებელნი ვართ და დარწმუნებულნიც ვართ, რომ დღევანდელს მის განწყობილებას სავსებით ვაღიარებთ, ჩვენ ვიცით, რომ კიევის უკრაინის ცენტრი, გარუსებულია, რომ დაკარგა მან კავშირი თავის ბინასთან და უკრაინის ტერიტორიაზედ ის კუნძულად იქცა და ამიტომ, ვიდრე იმ სხვათა და გაუგებრობათ განვფანტავდეთ, რომლისათვისაც თქვენ მოგვიწვევიათ, მე გეკითხებით—რანი არიან თქვენი ზრახვანი? ვის ვხვდებით აქ? ამხანაგებს თუ მოწინააღმდეგეთ? ხართ თქვენ ნამდვილი წარმომადგენელნი განმათავისუფლებელ მოძრაობისა და როგორც ესეთნი სცნობთ ყოველ ერის უფლებას თავის ტერიტორიაზედ თვით მოაწყოს თავისი ცხოვრება—თუ ძველი გამარუსებელი სისტემის წარმომადგენელი ბრძანდებით?

გთხოვთ თქვენი პრინციპიალური შეხედულებანი განაცხადოთ ძირითად საკითხის შესახებ—აქვს თუ არა უფლება უკრაინის ერს თვით მოაწყოს თავისი პოლიტიკური ცხოვრება.

გრუშევსკის სიტყვის შემდეგ ცენტრალურ რადას მეორე წარმომადგენელმა ჯარისკაცმა განაცხადა, რომ „უკრაინელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა შეადგინეს „ამხანაგობა", რომელიც ხმებმა ხიშტების შესახებ ფრიად აღელვა და ერთხმად დაადგინა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან უკრაინის ერის უფლებანი. უკრაინელთა ასეთმა კატეგორიულად დაყენებულმა საკითხებმა გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააყენა კომიტეტის წევრნი და მდგომარეობის გამოსარკვევად მუშათა საბჭოს თავმჯდომარემ პ. ი. **ნეზლობინმა** სთხოვა უკრაინელთ მიეცათ პასუხი, აქვს მათ განზრახვა დაუყოვნებლივ გამოაცხადონ ავტონომია თუ არა? მაგრამ რადას წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი შეუძლებლად სცნობენ რაიმე პასუხის გაცემას, ვიდრე გრუშევსკის მიერ დასმულ საკითხზე კომიტეტის წევრთა აზრს არ გაიგებენ და მით არ გამოარკვევენ თუ ვისთან აქვს მათ საქმე.

კომიტეტის სახელით ილაპარაკეს ნაფიცმა ვექილმა **გრიგოროვიჩ მარსკიმ** და **ფრუმინმა**, რომელთაც განაცხადეს, რომ ეროვნულ თვით გარკვევის პრინციპიალურად დაყენებულ საკითხს კი არ გამოუწვევია შიში, არამედ ამ პრინციპთა ცხოვრებაში გაყვანის მოქმედებას, რომ უკრაინის ავტონომიის წინააღმდეგ მათ არაფერი არ აქვთ, მაგრამ ფიქრობენ რომ თავისუფლების განმტკიცების ინტერესები მოითხოვენ ერთა მომავალი თავისუფალი ცხოვრების შენება წართმევით კი არ უნდა მოხდეს, არამედ დამყარებული სახელმწიფოებრივ-უფლებრივი წესით.

სალდათთა საბჭოს წარმომადგენელმა **ბრანტმანმა** პროტესტი განაცხადა იმის შესახებ, თითქოს მათ ეთქვათ, რომ ხიშტებით დავძლიოთ უკრაინელთა კონგრესს თუ მან ავტონომია გამოაცხადაო. ბრანტმანმა ითხოვა დაესახელებინათ ის პირნი, ვინც მათი სახელით ამის წარმოთქმა გაბედა, რადგან მათ არა აქვთ უფლება ჯარის კაცთა წრეში ყოფნისა..

ატმოსფერა თითქოს დამშვიდდა. შესაძლებელი შეიქნა ორივე მხრის მწყობრი მოლაპარაკების გამართვა და რადას წარმომადგენლებიც სიამოვნებით დასთანხმდნენ გაეცნოთ თავისი მისწრაფებანი.

ანტონოვიჩმა და გრუშევსკიმ განაცხადეს, რომ კონგრესს არ შეუძლია ავტონომიის გამოცხადება, და არც დაუსახავს მიზნათ, რადგან იგი კრებაა ეროვნული და არა ტერიტორიალური, რომელშიდაც მონაწილეობა უნდა მიიღონ უკრაინაში მცხოვრებმა სხვა ეროვნებებმაც, რომელთა უფლებანი უსათუოდ უზრუნველყოფილი იქმნება უკრაინის მომავალ კანონმდებლობით. კონგრესს მიზნათ აქვს დასახული შექმნას ორგანიზაცია არა ეროვნული, არამედ ტერიტორიალური, უკრაინაში მცხოვრებ სხვა ეროვნებებთან შეთანხმებით. და მისცეს სანქცია ცენტრალურ ძალას, რომელიც აღიარებულია ცალკე ორგანიზაციების მიერ და მისი გარდაქმნა ეროვნულ ორგანოდან საერთო ტერიტორიალურ ორგანიზაციად. ამ საკითხს იგი შეეხება მხოლოდ თეორიულად, ხოლო ცხოვრებაში გაყვანა კი საერთო ძალების შეთანხმებულ მოქმედების საქმეა.

ხოლო ავტონომიის შესახებ ანტონოვიჩმა განაცხადა, რომ თვით უკრაინის ერის საქმეა მიიღებს მას ზევიდან თუ ძირიდან.

ფრიად საყურადღებო იყო აგრეთვე უკრაინელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბელადის ცნობილ ბელეტრისტის ვ. ვინიჩენკოს სიტყვა, რომელმაც სთქვა, რომ უკრაინელთათვის ისევე ძვირფასია რუსეთის თავისუფლება, როგორც მათთვის და ჩვენც მთელის ძალღონით დავიცავთ მას, მაგრამ ჩვენ საჭიროთ ვცნობთ სიტყვანი საქმეთ ვაქციოთ და არ გვეშინია ვთქვათ, რომ ხალხის ნების განხორციელება თავისუფლებისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს. და თუ უკრაინამ შესძლო ტერიტორიალურ კრების მოწვევა და განსაკუთრებული გარდაწყვეტილებანი გამოიტანა, რით დაუშლის ის საერთო თავისუფლებას ნუ-თუ რუსეთის დემოკრატია წინ აღუდგება ამ ნებას? ჩვენ [illegible] არა ვართ. ჩვენ უნდა საქმეთ ვიქცეთ. ყველა ჩემს ზრახვათ მე თავისუფლათ წინ გიშლით, ვამბობ—თუ ჩვენ მისწრაფებათა განხორციელებას რაიმე ზიანი შეუძლია მიუტანოს საერთო თავისუფლების საქმეს, იმ შემთხვევაში ჩვენ ჩვენს სვლაზედ უარს ვიტყვით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამას ვერავინ ვერ დამიმტკიცებსო.

ვინიჩენკოს სიტყვებმა დაუსრულებელი ტაში გამოიწვია. გამოირკვა, რომ ხიშტების შესახებ ულაპარაკნიათ მუშათა საბჭოს თავმჯდომარეს ნეზლობინს და რამდენიმე სხვა რუს სოციალ-დემოკრატს, სოციალისტთა შეერთებულ კრებაზედ ნეზლობინმა თავის გასამართლებლად განაცხადა, რომ იმ კრებაზედ წაკითხულ იქმნა მოხსენება უკრაინის პოლიტიკურ მიმდინარეობათა შესახებ, რომლიდანაც გამოირკვა, რომ უკრაინაში ძლიერია სეპარატისტული მიმდინარეობა, რომელსაც სურს დაუყოვნებლივ მოიწვიოს დამფუძნებელი კრება და ასეთი ნაბიჯის გადადგმა, უარყოფითათ ჩავთვალე და განვაცხადე ეს, როგორც მუშათა საბჭოს წარმომადგენელმა. განვაცხადე ისიც, რომ ჯარი ამას შესაფერ პასუხს გასცემს თქო, რაშიც ეხლაც დარწმუნებული ვარო. ნეზლობინის საქციელი კრების მიერ სასტიკათ დაგმობილ იქმნა.

კრების დახურვისას თავმჯდომარემ მადლობა გადუხადა უკრაინელ მოღვაწეთ და უთხრა, რომ კომიტეტის უმცირესობას არავითარი შიში არ უგრძნია, რადგან უკრაინელ ბელადთა სახელმწიფოებრივ ჭკუას სავსებით ენდობოდა. სთხოვა, რომ ყველა კრების დამსწრენი უკრაინის გულწრფელ მეგობრებათ ჩაეთვალათ.

სტუმარი.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპიძე.**
გამომცემელი ამხ. „**საქართველო**".

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

იყიდება
ორსართულიანი ქვითკირის სახლი
ყოველისფრით შემკული. გამოყვანილია წყალი, გაჭრილია არხი და სხვ.
მინკვიცევის ქუჩა № 22.
პირობები იკითხეთ შიო ქურუკაშვილთან: ანანურის მისახვევი, № 7.
(6-652-3)

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
გ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
გ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4 (ტ.—202—)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოზანეზოვისა).
მიხეილის საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ღოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრახსი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914" და „606"
შეშხაპუნება

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)
თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაიღლაშის-ზედით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ქარების (რევმატიზმის),
ნეკრესის
თირკმელების (ჭაჭების)
და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „უროდონალ", და მაზი წასასმელი „ატრო", სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „ურდონალისა" ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურდონალი" და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო". სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.
თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.
Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

სტამბა „ცხოვრება" ახლან კიდანდაძის, ნაძალადევის შესახვევი № 4.